პრევენციული ღონისძიებები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირთა მიმართ

ანა ჯაში

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
თბილისი, 0186, საქართველო

სექტემბერი 2020

საავტორო უფლება 2020 ანა ჯაში

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ანა ჯაშის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „პრევენციული ღონისძიებები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირთა მიმართ“ და ვაძლევ რეკომენდაციას სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას, სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: ლავრენტი მაღლაკელიძე

თარიღი: 02.09.2020

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

განაცხადი წარმოდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სტუდენტი: ანა ჯაში

თარიღი: 02.09.2020

სარჩევი

ანოტაცია v

Anotacion vi

შესავალი 1

I თავი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგელობის ასაკი 4

1.1.სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარი საქართველოში 7

1.2. არასრულწლოვან პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკური ანალიზი საქართველოში 17

1.3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ცენზი საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით 19

II თავი. არასრულწლოვანთა და ბრალუუნარო პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამომწვევი მიზეზები 30

2.1. გარდატეხის პერიოდი და გაუცნობიერებელი დანაშაული 33

2.2. საგანმანათლებლო გარემო და თანატოლებთან ურთიერთობა 36

2.3. თავისუფალი დროის გატარება და ტელევიზია 37

2.4. ეკონომიკური ფაქტორი 39

2.5. სახელმწიფო და ოჯახი მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში 40

III თავი. მოზარდთა მიმართ პრევენციულ ღონისძიებათა გამოყენება საქართველოში 43

IV თავი. დანაშაულის პრევენციის მოდელები 47

4.1.სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, როგორც დანაშაულის პრევენციის მოდელი. 49

4.2.დანაშაულის პრევენციის სოციალური მოდელი 50

4.3.დანაშაულის სიტუაციური პრევენციის მოდელი 52

დასკვნა 56

ბიბლიოგრაფია 59

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია, 14 წლამდე ასაკის მოზარდთა მიმართ აუცილებლობის შემთხვევაში პრევენციული ღონისძიებების ეფექტურად გამოყენების მნიშვნელობა. კანონს მიღმა ტოვებს 14 წლამდე ბავშვებს ქართული კანონმდებლობა, რაც საფრთხის შემქმნელია როგორც საკუთრებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის. ვერ ხერხდება დანაშაულის ჩადენის შემდეგ ან დანაშაულის ჩადენამდე პრევენციის მიზნით რეაგირება, რადგან კანონმდებლობა არ ითვალისწინებს 14 წლამდე პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულზე რაიმე სახის რეგულაციას. ასევე განხილულია მოზარდთა მიერ დანაშაულებივი ქმედების გამომწვევი მიზეზები, რომელთაგან მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ოჯახსა და სახელწიფოს. სახელწიფომ უნდა შექმნას ის ეფექტური რეგულაციები, რომელიც ხელს შეუწყობს მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულების შემცირებას.

ნაშრომში ასევე განხილულია სხვადასხვა ქვეყნის სამათლებრივი მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და პრევენციული მოდელები. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკამდე, მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაული ეს არ არის ახალი მოვლენა. ის დამაბრკოლებელი ფაქტორია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვის, რომელიც ერთ მთლიან გლობალურ პრობლემას წარმოადგენს.

Anotacion

The paper discusses the importance of effective prevention measures for adolescents under the age of 14 when it's necessary. Georgian law leaves children under the age of 14 behind the law, which poses a threat to both property and society.It is not possible to respond a crime before/after it happens or prevent a crime, because Georgian law does not provide for any kind of regulation on crimes committed by persons under 14 years of age.The causes of juvenile delinquency are also discussed, of which the family and the state play an important role.The state should create effective regulations to help reduce juvenile delinquency.

The paper also discusses the legal approaches of different countries on this issue, the causes of crime and prevention models.Before the age of criminal responsibility, juvenile delinquency is not a new phenomenon. It is an obstacle not only for Georgia, but also for the world, which is a whole global problem.

შესავალი

იურიდიულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ არასრულწლოვნებს, მათ მიერ თუ მათ მიმართ ჩადენილ დანაშაულებს და ამ დანაშაულების გამომწვევ მიზეზებს. მეტად ფაქიზი და ფრთხილია კანონმდებლობის მიდგომა მოზარდების მიმართ,რადგან ისინი ცხოვრების ყველაზე რთულ ეტაპს გადიან, რა დროსაც უმნიშვნელო შეცდომამაც კი შეიძლება სავალალო შედეგი გამოიღოს და რადიკალურად შეცვალოს ადამიანის მომავალი ცხოვრება უარესობისაკენ.[1]

არასრულწლოვან სამართალდამრღვევათა ისტორიული წარსული შეიძლება შეფასებულ იქნეს როგორც უსამართლო.ასეთი შეფასება ეხება კაცობრიობის განვითარების ყველა ეპოქას-ანტიკური სამყაროდან მეცხრამეტე საუკუნემდე. იმ დროის იურისპრუდენციაში არ არსებობდა სამართლებრივი ცნება ბავშვობის-როგორც ადამიანის ცხოვრების განსაკუთრებით დაუცველი პერიოდისა,შედეგად სამართლებრივ აქტებშიც არ მოიპოვება სასამართლოებსა თუ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ბავშვთა სპეციალური დაცვის იურიდიული წესები.[2]

ბავშვები იწყებენ ცხოვრებას,როგორც აბსოლუტურად დამოუკიდებელი არსებები:ისინი მთლიანად მშობლების იმედზე არიან კვებისა თუ აღზრდის თვალსაზრისით: ეს მათ სჭირდებათ იმისათვის, რომ გაიზარდონ და დამოუკიდებელნი გახდნენ. საუკეთესო შემთხვევაში ასეთ ზრუნვას ბავშვები უნდა იღებდეს მისი ოჯახის უფროსი წევრებისაგან, მაგრამ, როცა

[1]ჯაფარიძე თ. მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზები,მისი კრიმინოლოგიური ასპექტები და გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები. თბილისი, 2018, 113

[2]საქართველოს პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭო, გაეროს ბავშთა ფონდი, ,,არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია. საწვრთნელი დებულებები არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრირების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები“, თბილისი, 2003 , 10

უშუალო მზრუნველებს არ შეუძლიათ ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილება უკვე საზოგადოებამ უნდა იზრუნოს ამის გამოსწორებაზე.[3]

სახელწიფოს მოქმედება ან უმოქმედობა უფრო ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ბავშვებზე, ვიდრე საზოგადოების რომელიმე სხვა ჯგუფი: სამთავრობო პოლიტიკის თითქმის ყველა სფერო (მაგალითად: განათლება თუ ჯანმრთელობის დაცვა) გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ბავშვებზე. წინდაუხედავი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც არ ითვალისწინებს ბავშვების პრობლემებს, ძალზედ ავნებს მთელი საზოგადოების მომავალს.[4] შესაბამისად არასრულწლოვანთა და მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაული ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სამართლებრივ სივრცეში. სახელწიფოს როლი მეტად აქტიური უნდა იყოს, რადგან აღმოფხვრილ იქნეს ბრალუუნარო პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულები.

არასრულწლოვანთა დანაშაულის და ბრალუუნარო პირთა მიერ ჩადენილ უმართლობათა პრევენცია სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. არასრულწლოვანთა დანაშაული რთული ფენომენია, მას მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვს. შესაბამისად, არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორის, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების ერთიან ძალისხმევას.[5]

---

[3] ,,ბავშვის უფლებები და ჟურნალისტიკის პრაქტიკა-უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა"- იუნისეფი-დებულების ტექნოლოგიის ინსტიტუტი., 2007წელი. ქართული თარგმანი და გამოცემა, გაეროს ბავშთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა, თბილისი, 2011, 13

[4] საქართველოს პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭო, გაეროს ბავშთა ფონდი, ,,არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია. საწვრთნელი დებულებები არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრირების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი მექნიზმები", თბილისი, 2003, 11

[5] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2011

არასრულწლოვნობის ან მოზარდობის პერიოდი ადამიანის ცხოვრების უაღრესად საპასუხისმგებლო, პერიოდია.ეს არის პიროვნების ჩამოყალიბების ასაკი, როდესაც უნდა დაძლიოს ღირებულებითი ორიენტაციების, ინტერესების, სულიერი მოთხოვნილებების მერყეობა. [6]

საქართველოს კანონმდებლობით მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი[7], მაგრამ ხშირია 14 წლამდე პირთა მიერ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენა. სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს სამართლებრივი სივრცე ვერ პასუხობს სათანადოდ აღნიშნულ გამოწვევას და არ მოგვეპოვება სამართლებრივი რეგულაციები 14 წლამდე პირთა მიმართ.ერთის მხრივ სახეზე გვაქვს ასაკობრივ ზღვარს მიუღწეველ პირთა უფლებები და კანონმდებლობის რეგულაცია, ხოლო მეორე მხრივ ის ფიზიკური თუ იურიდიული პირები, რომელთა სამართლებრივ სიკეთეს ადგება ზიანი.

ნაშრომში განხილულ იქნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს 14 წელს მიუღწეველ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემები, როგორ უნდა უპასუხოს აღნიშნულ გამოწვევას სახელწიფომ, თუ რა კრიტერიუმები უნდა განახორციელოს ოჯახმა ბავშვის აღზრდის პროცესში,რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მოზარდთა მიერ განხორციებული დანაშაულები.მნიშვნელოვანად იქნება შესწავლილი სხვადასხვა ქვეყნების მიერ განხორციელებული შედარებით სამართლებრივი პრაქტიკები და პრევენციული მექანიზმები, რათა მოვახდინოთ შედარება და იმის გაანალიზება თუ რომელი პრევენციული მოდელი შეგვიძლია შევუსაბამოთ საქართველოში არსებულ მდგომარეობას და სამართლებრივ სივრცეს.

მოცემული სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე მრავლად გვაქვს ბრალუუნარო პირთა მიერ განხორციელებული დანაშაულები, რომლებიც არა მხოლოდ კონკრეტული ოჯახისა თუ ინდივიდის პრობლემაა, არმედ

[6]შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2011
[7]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მ. 33

სრულიად საზოგადოების. საქართველოს კანონმდებლობის პრობლემურობა და შესაბამისი რეგულაციების არ არსებობა კონკრეტული საკითხისადმი, საზოგადოების უნდობლობის მიზეზს წარმოადგენს, რადგან მათი აზრით არ არის დაცული საკუთრების უფლება. მართალია არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მაგრამ აღნიშნული არ არეგულირებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

კვლევის მიზანია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების გაანალიზება, გამოსავლის მიგნება, რომელიც დაიცავს, როგორც პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირებს ასევე საზოგადოების უფლებებს, რომ მათ არ ჰქონდეთ დაუცველობის განცდა და სახელწიფოს მიმართ უნდობლობა. სახელწიფომ უნდა იბრძოლოს დანაშაულთან მის ჩადენამდე და არა ჩადენის შემდგომ, პრევენციული ღონისძიებების დანერგვით, რომელიც მორგებული იქნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ მოზარდებზე.

ნაშრომი შედგება შესავლის, დასკვნის, ბიბლიოგრაფიის, 4 თავისა და 11 ქვეთავისაგან, რომელთაგან პირველი თავი ეთმობა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის მოკლე მიმოხილვას, მეორე თავი ეთმობა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს, მესამე თავი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირთა პრევენციული მექანიზმების გამოყენებას საქართველოში, მეოთხე თავში განხილული იქნება დანაშაულის პევენციული მოდელები.

I თავი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგელობის ასაკი

საკანონმდებლო სივრცე მეტნაკლებად განსხვავებულად არის მოწყობილი და განსხვავებულად არეგულირებს ამა თუ იმ საკითხს, გამონაკლისი არც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკია. სახელწიფოებს გააჩნიათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსხვავებული ზღვარი, თუმცა ხშირად ვხვდებით ასაკთა საერთო მინიმალურ ზღვარს რომელიც 14 წელს შეადგენს.

რომაული სისტემის მიხედვით, ადამიანის ორგანიზმის როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ძალები, ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ განახლდებიან და რომ ადამიანის სიცოცხლის ეს შვიდწლიანი ვადები სავსებით შეესაბამება მისი განვითარების ძირითად ეტაპებს. ამ თვალსაზრისით, ეს სისტემა განარჩევდა ე.წ. „infantes“ 7 წლამდე ბავშვობის, ანუ უპირობო შეურაცხაობის პერიოდს; „impuberes“ – ყრმობის პერიოდს 7 - 14 წლამდე, რომელიც, თავის მხრივ, ორ კატეგორიად იყოფა: „pubertati proximi“, „infantioe proximi“,, როცა შერაცხადობის საკითხი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წყდება და ბოლოს „minores“ – 21, ხოლო ზოგჯერ 25 წლამდე, რომელთაც სასჯელი მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში უმსუბუქდებოდა.[8]

თანამედროვე სახელწიფოების მიერ აღიარებულ იქნა არასრულწლოვანთა მიმართ განსაკუთრებული და განსხვავებული მიდგომის ვალდებულება რაც დეკლარირებულია კონვენციით „ბავშვთა უფლებების შესახებ“,[9] რომელსაც უერთდება 193 სახელმწიფო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებმა აიღეს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სამართლებრივი პასუხისმგებლობა, საქართველო აღნიშნულ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა, ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვისა და დახმარების უფლება.[10]ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად, ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი სანამ 18 წლის ასაკს მიაღწევდეს, თუ კანონით,

[8]სურგულაძე ლ., მოზარდი და სისხლის სამართლის კანონი, ქ. თბილისი, 1999
[9]კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (1989 წლის 20 ნოემბერი)
[10]ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წლის 10 დეკემბერი)

რომელიც ამ ბავშვისადმი გამოიყენება, ის უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.[11]

ბავშვთა კონვენციის მიხედვით სახელწიფოები უზრუნველყოფენ,რომ:

ა) არცერთმა ბავშვმა არ განიცადოს წამება, სხვა სასტიკი, არაადამიანური, ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა. არც სიკვდილით დასჯა, არც სამუდამო პატიმრობა, რაც გათავისუფლების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, არ მიესჯებათ დანაშაულისათვის 18 წლამდე ასაკის პირებს;

ბ) არცერთ ბავშვს არ აღეკვეთოს თვისუფლება უკანონო ან ნებისმიერი სახით. დაპატიმრება, დაკავება ან დატუსაღება ხორციელდება კანონის თანახმად და გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს ზომად და დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში;

გ) ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა სარგებლობდეს ჰუმანური მოპყრობით და მისი პიროვნების განუყოფელი ღირსების პატივსიცემით მისი ასაკის პირთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით. კერძოდ, ყოველი თავისუფლება აღკვეთილი ბავშვი განცალკევებული უნდა იყოს უფროსებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიჩნეულია, რომ ამის გაკეთება არ ღირს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის, და ჰქონდეს უფლება კავშირი იქონიოს თვის ოჯახთან მიმოწერის და პაემნის მეშვეობით, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა;

დ) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება, დაუყოვნებლივ ისარგებლოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარებით, აგრეთვე უფლება, გაასაჩივროს თავისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და უფლება, რომ

[11]კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (1989 წლის 20 ნოემბერი)

დაუყოვნებლივ მიიღონ მათ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი პროცესუალური მოქმედების მიმართ.[12]

1.1.სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარი საქართველოში

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების სწორი წარმართვისათვის, აუცილებლად უნდა იქნეს განსაზღვრული ასაკი საიდანაც დადგება პასუხისმგებლობა ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებისათვის.[13]

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი რამოდენიმეჯერ იქნა შეცვლილი. 1924 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 16 წელი იყო მიღებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად. 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებმა დაადგინა მხოლოდ გამონაკლისები, რომლისთვისაც კანონმდებელი სისხლისსამართლებრივ პასუხსიმგებლობას 14 წლიდან აწესებდა.[14]

1999 წლამდე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი საქართველოში იყო 16 წელი, ამასთან, 14-16 წლის მოზარდების პასუხისმგებლობის საკითხი დაისმოდა შედარებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. 1999 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად ზღვარმა დაიწია და შეადგინა 14 წელს.[15] საქართველოს კანონმდებლობაში მუდმივი ცვლილებები ხორციელდებოდა

---

[12]კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (1989 წლის 20 ნოემბერი)

[13]მინაშვილი ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2017, 7

[14]მინაშვილი ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2017, 10

[15]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016, 1

პასუხისმგებლობის ასაკთან დაკავშირებით, რაც გარკვეულწილად სახელწიფოს მდგომარეობისა და დანაშაულის ზრდით იყო გამოწვეული. 2007 წელს კვლავ განხორციელდა ცვლილება, რამაც გარკვეული დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობის ასაკი დაიყვანა 12 წლამდე.თუმცა ეს ცვლილება პრაქტიკულად არ განხორციელებულა,რადგან შერაცხადობის ასაკის 12 წლამდე შემცირება უარყოფითად შეფასდა და ექსპერტთა კრიტიკა გამოიწვია,[16] სწორედ იმის გამო, რომ სახელწიფოში ალტერნატივის არარსებობა ბავშვების ციხეში გაგზავნას იუწყებოდა, მოგვიანებით კვლავ გაუქმდა და პასუხისმგებლობის ასაკად ყველა დანაშაულისთვის 14 წელი განისაზღვრა.[17]

საქართველოს კანონმდებლობის საბოლოო ცვლილებების შედეგად განისაზღვრა პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წელი, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენისთვის არასრულწლოვანს პასუხისმგებლობა 14 წლის ასაკიდან დაეკისრება. ბავშვთა უფლებათა კომიტეტის განმარტებით, საუკეთესო ვარიანტია,რაც შეიძლება მაღალი ზღვარი,თუმცა კონკრეტულ ასაკს არ გვთავაზობს და სახელწიფოებს დისკრეციას უტოვებს. ბავშვთა უფლებათა კონვენციითა და სვა საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული არ არის კონკრეტულად რა ასაკიდან შეიძლება გახდეს პირი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სუბიექტი, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არის განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი.[18] ბავშვთა უფლებათა კონვენციის 40-ე მულის მე-3 ნაწილი მხოლოდ იმას მოითხოვს სახელწიფოებისგან, რომ მათ სცადონ დანერგონ „მინიმალური ასაკი,

[16] ტურავა მ. დანაშაულის მოძღვრება, თბილისი 2011

[17] ჯაფარიძე თ., მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზები, მისი კრიმინოლოგიური ასპექტები და გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები, თბილისი, 2018, 114

[18] ჯაფარიძე თ., მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზები, მისი კრიმინოლოგიური ასპექტები და გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები, თბილისი, 2018, 114

რომლის ქვემოთაც მიჩნეულია, რომ ბავშვებს არ შეუძიათ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევა“.[19]

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არასრულწლოვანთა უფლებები და მათი დაცვის საკითხები ჩამოყალიბებულია შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

- ✓ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- ✓ საქასრთველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- ✓ საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ
- ✓ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში და სხვა ნორმატიულ აქტებში.

საქართველოს კანონმდებლობა არსებითად თანხმობაშია საერთაშორისო ნორმებთან, თუმცა სპეციალური სასამართლოების, პრობაციის სისტემის ფაქტობრივი არარსებობისა და ერთიანი სახელწიფოებრივი მიდგომის დეფიციტიდან გამომდინარე, დღემდე ვერ ჩამოყალიბდა ბავშვთა დაცვის ეფექტიანი სისტემა.[20]

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარების დაწყება საქართველოში დაკავშირებულია 2009 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგიის მიღებასთან, რომელიც ყოველწლიურად განახლებადი დოკუმენტია. სწორედ აღნიშნულმა რეფორმამ შეუწყო ხელი განრიდებისა და მედიაციის პროგრამის დანერგვას, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ შემოღებულ იქნა ინდივიდუალური მიდგომა, დაიწყო პროფესიონალიზმთა სპეციალიზაცია. 2014 წლიდან სტრატეგიამ მიზნად დაისახა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის გაფართოვება ყველა ბავშვის უფლებების რეალიზებისთვის, რომელიც შესაძლოა აღმოჩნდეს მართლმსაჯულებასთან კონტაქტში სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული კანონმდებლობის სფეროებში შემავალ

[19] კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (1989 წლის 20 ნოემბერი)

[20] კაკაჩია მ., კლდიაშვილი ლ., საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სახელწიფო მმართველობის სკოლა, არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართველოში, თბილისი 2004

საკითხებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, 2016 წლის ბოლომდე რეფორმის ფარგლებში გაწეული ძალისხმევა ძირითადად მიმართული იყო სისხლის სამართლის სისტემაზე, თუმცა, ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევებმა ნათლად დაადასტურა სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის, სისტემების რეფორმის აუცილებლობა. იუნისეფის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით „ბავშვები უზარმაზარ სირთულეებს აწყდებიან მართლმსაჯულების სისტემასთან შეხებისას. ბავშვები დამოკიდებულნი არიან უფროსებზე, რათა მიიღონ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ; გაერკვნენ და გამოიყენონ არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, ჰქონდეთ წვდომა სასამართლოსა და მართლმსაჯულების სხვა მექანიზმებზე“.[21]

საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ამოქმედდა 2016 წელს, რის შემდეგაც საქართველოში მოქმედ უწყებებს დაეკისრათ ვალდებულება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, ჩამოეყალიბებინათ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ გამოსაყენებელი პროცედურები და პრაქტიკა, რომელიც მოიცავდა პერიოდს სამართალდამცავ ოგანოებთან ბავშვის პირველი კონტაქტიდან სასამართლო განხილვის ჩათვლით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით არასულწლოვანი არის: 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრუწლოვანი, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრუწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის-პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი,

[21]UNICEF study on Children's Equitable Access to Justice in Albania, Georgia, Kyrgyzstan and Montenegro, 2015

მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.[22] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად: მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია 14 წელი.[23]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მხოლოდ 14 წელს მიღწეულ არასრულწლოვანთა საკითხს არეგულირებს, რომლის მიხედვითაც 14 წლამდე მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულები კანონს მიღმა რჩებიან. უცხოეთის კანონმდებლობის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (ე.წ. „იუვენალური იუსტიციის) სფეროში, ვნახავთ,რომ რამდენიმე ქვეყანაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი უფრო დაბალია და იგი 7-8 წლის ასაკიდანაც კი იწყება,[24] გასათვალისწინებელი ფაქტია ისიც, რომ ამ ქვეყნებში საქართველოსგან განსხვავებით არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების („იუვენალური იუსტიციის“) კარგად განვითარებული სისტემა. იუვენალური იუსტიცია ახალი ცნებაა საქართველოსთვის. ცნება- „იუვენალური იუსტიცია“ მთელ მსოფლიოში დაკავშირებულია მის მთავარ რგოლთან-არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოსთან, საერთაშორისო დოკუმენტებში მოცემული ინგლისურენოვანი დეფინიცია „Juvenline juctice” - ქართულენოვან დიკუმენტებში ითარგმნება, როგორც „მართლმსაჯულება არასრულწლოვანთა მიმართ“.[25]

გერმანიაში ისევე ,როგორც საქართველოში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იწყება 14 წლიდან.[26] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ სპეციალური გერმანული კანონის მე-3 პარაგრაფის მიხედვით, 14-დან 17 წლის ჩათვლით არასრულწლოვანს

---

[22]არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.3

[23]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 33

[24]არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია. საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები, გამოცემულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ

[25]კავთუაშვილი ე., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი- დასჯის თუ აღზრდის სამართალი?! თბილისი, 2016, 202

[26]იხ. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 პარაგრაფი

შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისროს, ზნეობრივი ან სულიერი მოუმწიფებლობის გამო,[27] საქართველოს კანონმდებლობაში არ გვხვდება მსგავსი მიდგომა და პრიორიტეტული მხოლოდ ასაკია რომლის საფუძველზე ხდება არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასება. მნიშველოვანია სახელწიფოს მიერ სათანადოდ იქნეს შეფასებული თითოეული მოზარდი, მათი ფსიქიკური მდგომარეობა,რომელიც სწორედ ამ ასაკში ყალიბდება, რათა პრევენციის თუ სასჯელის მიზნები სწორად იქნეს განსაზღვრული შემდგომში ეფექტურად გამოყენებისთვის.

საქართველოში 14 წლამდე ბავშვები არიან დარჩენილნი კანონს მიღმა, რაც მათ ხელს უწყობს იყვნენ თამამი, რადგან უმეტესობამ კარგად იცის რომ პასუხიმგებლობა არ დაეკისრებათ და მოურიდებლად სჩადიან კანონით აკრძალულ ისეთ ქმედებას, რომლის ჩადენის შემთხვევაშიც ბრალუნარიანი პირი მიეცემოდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში. არსებობს შემთხვევებიც, რომლის მიხედვითაც სრულწლოვანი პირები იყოლიებენ ბრალუუნარო ბავშვებს ამა თუ იმ უკანონო ქმედების ჩადენაზე (ძირითადად საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, რომლის შედეგადაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგება მესაკუთრეს) აღნიშნული ქმედება საქართველოში ცნობილია, როგორც შუალობითი ამსრულებელი და დასჯადია[28], სწორედ ეს ვითარებაა მაღალი საფრთხისა და რისკების წარმომქნელი, რადგან რთულია ამ დანაშაულის დამტკიცება და რეალური დამნაშავის გამოვლენა, დასჯა.

საქართველოს კანონმდებლობა განასხვავებს სასჯელის მიზნებს სრულწლოვნებსა და არასრულწლოვნებს შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება[29], საქართველოს

[27]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016, 121-124

[28]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მ.22
[29]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ.39

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება[30]. რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება-განვითარებას, არსრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობას და მის მომზადებას საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.[31]

არასრულწლოვანთა საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ისეთ ინსტიტუტზე, როგორიცაა განრიდების პროგრამა, რომელიც მნიშვნელოვნად ცდილობს არასრუწლოვანს აარიდოს ციხე. განრიდების პროგრამა საქართველოში 2010 წლის 15 ნოემბრიდან იღებს სათავეს. პროგრამის დაწყება ეფუძნებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეხუთე ნაწილის ჩანაწერს, რომელიც პროკურორს უფლებამოსილებას აძლევდა არასრულწლოვანთან გაეფორმებინა ხელშეკრულება განრიდების და მედიაციის შესაახებ.[32]

პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლის სამართლებრივი დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთს ან რამდენიმეს:

ა) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაღაურება;

---

[30]საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.65

[31]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016, 218

[32]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016, 90

ბ) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელწიფოსთვის გადაცემა;

გ) მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება;

დ) სახელწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი;

ე) საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე;

ვ) ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში-ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ განრიდება არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] (ადამიანით ვაჭრობა ტრეფიკინგი), 143[2] (არასრულწლოვნით ვაჭრობა), 143[3] (ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლით მომსახურებით სარგებლობა), 144 (მძევლად ხელსი ჩაგდება), 144[1] (წამება), 144[2] (წამების მუქარა) და 144[3] (დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა), მუხლებით, აგრეთვე სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრულ დანაშაულთა საქმეებზე. თუ პირი (განრიდების სუბიექტი) არ შეასრულებს განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს, დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.[33]

განრიდების ინსტიტუტის არსი და პარამეტრები ჩამოყალიბებულია გაეროს წესებსა და სახელმძღვანელო პრინციპებში. ესენია:

- პეკინის წესები 1985 წ;
- ტოკიოს წესები 1990 წ;
- ერ-რიადის სახელმძღვანელო პრინციპები 1990 წ;
- გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად 1990 წ;

[33]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, მ.168[1]

1985 წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით მიღებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისთვის (პეკინური წესები), რომელიც ადგენს მართლმსაჯულების თანამედროვე სტანდარტებს.

კომპეტენტური ორგანო უნდა შეეცადოს, სადაც ეს შესაძლებელია, ფორმალური სასამართლო პროცესისადმი მიმართვის გარეშე არასრულწოვანი სამართალდამღვევი საქმის გადაწყვეტას; პოლიცია, პროკურატურა თუ არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე სხვა ორგანოები უნდა სარგებობდნენ ასეთი საქმეების საკუთარი შეხედულებით, ფორმალური სასამართლო განხილვის გარეშე გადაწყვეტის უფელბამოსილებით- შესაბამის სამართლებრივ სისტემაში ამ მიზნისათვის დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, აგერთვე წინამდებარე წესებში მოცემული პრინციპების შესაბამისად.[34]

საქართველოს გამოვლილი აქვს „ნულოვანი ტოლერანტობის“ პერიოდი, რომელიც სათავეს 2006 წლიდან იღებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ექსპერტთა დიდი ნაწილი შეცდომად აფასებს, საუბრობენ ციხეების გადატვირთულობაზე, მცირე ზარალის შემთხვევაში სისხლის სამართლის მკაცრი ზომების გამოყენებაზე, „სამართლიანი სასამართლოს" არარსებობაზე და სხვა ფაქტორებზე. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას საფუძვლად უდევს ამერიკელი სოციოლოგების ჯეიმს ვილსონისა და ჯორჯ კელინგმას მიერ ჩამოყალიბებული „Broken Windows“ თეორია.[35]ამერიკელი სოციოლოგების, ჯეიმს უილსონისა და ჯორჯ კელინგის თეორიის თანხმად, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ე.წ. „ჩატეხილი ფანჯრის თეორიას ეფუძნება“, როცა უბანში ერთი ფანჯარა გატეხილია, აქ დასახლებული ადამიანებისთვის ეს იმის ნიშანი შეიძლება

[34]გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, პეკინის წესები; მე-11 მუხლი
[35] Wilson, J. Q./Kelling, G.I., 1996. S. 121-137

იყოს, რომ ამ უბანში ფანჯრების გატეხვა ჩვეულებრივი მოვლენაა.[36] ჩამტვრეული ფანჯრების თეორია ამტკიცებს, რომ წვრილმანი სამართალდარღვევებისადმი საზოგადოების შემწყნარებლობა მთლიანად კრიმინალის დონის ამაღლებას იწვევს.[37]

პირველი ნაბიჯი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით გადაიდგა "ნულოვანი ტოლერანტობის" ფარგლებში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის შემცირება იყო. „ნულოვანი ტოლერანტობა" ეს არის ბრძოლა ზოგადად დანაშაულის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ, როდესაც სახელმწიფო სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართულებად ნულოვან ტოლერანტობას ირჩევს, სასჯელს უფარდებს არა ინდივიდუალურად ბრალეული ქმედების პარალელურად, არამედ დანაშაულის სახეობის მიხედვით. "ნულოვანი ტოლერანტობა", როგორც ,,პოლიციური სტრატეგია", პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკში იქნა გამოყენებული 1994 წელს. ნიუ-იორკში ,,ნულოვანი ტოლერანტობის" სტრატეგია ძირითადად წვრილმანი დანაშაულების ეფექტიან აღკვეთასა და ქალაქში წესრიგისა და კონტროლის დამყარებაზე იყო ორიენტირებული.[38] ნულოვანი ტოლერანტობა ჩაანაცვლა ლიბერალიზაციამ, ლიბერალიზაცია სისხლის სამართლის პოლიტიკის ახალი მიმართულებაა. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის წარმატებით გატარების შემდეგ სახელმწიფო გადადის ლიბერალიზაციის ეტაპზე, რომელიც შეეხება ისეთ სფეროებს, როგორიცაა პატიმრობის ვადები და სასჯელთა შეკრების წესი, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება და სხვა. რა არის სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია და რამ განაპირობა მისი აუცილებლობა? ლიბერალიზაცია ნიშნავს რელაქსაციას ხელისუფლების წინანდელი შეზღუდვებისაგან.[39] მნიშვნელოვანია ნათლად იქნეს გააზრებული ნულოვანი ტოლერანტობის არსი. ნულოვანი ტოლერანტობის მიზანი არ არის პატიმრების რაოდენობის ზრდა, მას აქვს

[36] http://www.tabula.ge/ge/story/53963-arctu-ise-nulovani-tolerantoba
[37] http://business.org.ge/chamtvreuli-fanjrebis-teoria/
[38] Welch P. Criminal litigation and sentencing. London- Sidney, 1998, S. 23
[39]Sullivan, A., & Sheffrin, S. M. Economics: Principles in Action. New Jersey, 2002, P.12

ე.წ. შოკის ეფექტი, რათა მომატებული კრიმინალის პირობებში, დანაშაულებრივმა სამყარომ იგრძნოს სახელწიფოს „ძლიერი ხელის“ არსებობა.

1.2. არასრულწლოვან პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკური ანალიზი საქართველოში

არსებობს არასრულწლოვანთა დანაშაულის გამორკვევისა და მათი შეფასების სამი ძრითადი მეთოდი:

1. დაპატიმრებულთა(ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა) რაოდენობის მაჩვენებელი
2. მსხვერპლთა მიერ მიცემულ ჩვენებაში დამნაშავედ არასრულწლოვნის დასახელების
3. დანაშაულის თვითაღიარების მაჩვენებელი

საქართველოში შეგროვებულ მონაცემებში უმთავრესად ფიგურირებს დაპატიმრების (ბრალდებულ არასრულწლოვანთა) რაოდენობის მაჩვენებელი. არ არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენი დანაშაული იქნა ჩადენილი არასრულწლოვნების მიერ უახლოეს მომავალში. ამის მიზეზი შემდეგშია, როდესაც სამართალდამცავი ორგანოებისთვის ცნობილი ხდება დანაშაულის ჩადენის შესახებ, შეუძლებელია იმის დადგენა თუ რა ასაკის იყო დანაშაულის ჩამდენი პირი (შესაბამისად იყო თუ არა ის არასრულწლოვანი), სანამ არ გაირკვევა მისი ვინაობა, ანუ დანაშაული არ იქნება გახსნილი. ამდენად უცნობი რჩება გაუხსნელ დანაშაულში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ოდენობა. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემი ეხება განაჩენის გამოტანის რაოდენობას. ეს ინფორმაცია სასარგებლოა მსჯავრდებულთა რაოდენობის დასადგენად, თუმცა ცოტას მეტყველებს არასრულწლოვანთა მიერ

ჩადენილ დანაშაულთა საერთო რაოდენობაზე.[40] საქართველოში მუდმივად მიმდინარეობს სტატისტიკური მონაცემების წარმოება წლების მიხედვით, კერძოდ გვაქვს: არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა, მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობასთან შედარებით; სასჯელმისჯილ არასრულწლოვანთა რაოდენობა სქესისა და ასაკი მიხედვით.[41]

მოცემული სტატისტიკური მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ სასჯელის სახით არასრულწლოვანთა ციხეში მოთავსების ფაქტების რაოდენობა იზრდება. 2000 წელს სასამართლომ ბრალდებული არასრულწლოვნების 14,9%-ს მიუსაჯა ციხეში სასჯელის მოხდა, ხოლო 2006 წელს - 37,4%-ს. 2000 წელს 58 არასრულწლოვანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა. ეს ციფრები 2000 წლის შემდეგ იზრდებოდა. თუ არ გავითვალისწინებთ 2005 წლის მონაცემს (104 არასრულწლოვანი პატიმარი), თავის უმაღლეს ზღვარს 2007 წელს მიაღწია 426 არასრულწლოვანი პატიმრით.[42]

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს 14-18 წლის იმ მოზარდთა რაოდენობის ზრდა, რომლებიც ციხეში იხდიდნენ სასჯელს, განსაკუთრებით სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების ფონზე, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკას 14-დან 12 წლამდე ამცირებდა. თუ ზემოთ მოყვანილ სტატისტიკურ მონაცემებს ერთმანეთს შევადარებთ, მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 4-6%_ს შორის მერყეობს ბოლო 20 წლის განმავლობაში. 2006-2008 წლებში მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, რაც ქვეყნის მკაცრი კრიმინალური პოლიტიკით და ალტერნატიული ღონისძიების(განრიდება-მედიაცია) გამოუყენებლობით უნდა იყოს გამოწვეული. ხოლო ბოლო

[40] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016, 4
[41] იხ. დანართი1 და დანათი2
[42] შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016, 6

წლების ლიბერალურმა მიდგომებმა კი შეამცირა არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რაოდენობა.[43]

1.3. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ცენზი საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით

არასრულწლოვნის ან მოზარდის ზოგადი ცნება არ არსებობს. ანუ არასრულწლოვნობის ასაკი არის ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის პერიოდი. არასრულწლოვნის განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ ცხოვრებაზე და იგი მათი ზეგავლენის ერთგვარი შედეგია.[44]

არასრულწლოვანი ასაკიდან გამომდინარე მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი და სოციალურად დაუცველი ფენაა. არასწორი ოჯახური აღზრდა, შეფერხებები სასწავლო პროცესის წარმართვაში და სხვა ხასიათის ნეგატიური პრობლემები პირდაპირ კავშირშია იმ სოციალურ გადახრასთან, რომლებიც ხშირად ხელს უწყობენ არასრულწლოვნის დანაშაულებრივ გზაზე აღმოჩენას.[45] 11-12 წლის მოზარდებში, პიროვნების სულიერი ცხოვრების განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება. გარდატეხის პერიოდში მოზარდში აღინიშნება ენერგიის დიდი მოზღვავება, რომელსაც ყოველგვარი სულიერი და მორალური ნორმების გათვალისწინების გარეშე სურს თავი იჩინოს.მოზარდი საკუთარი ”მე”-ს გამოჩენის მიზნით ხშირად ჩადის ისეთ ქმედებას, რაც სცილდება სოციალური ურთიერთობის ნორმებს და სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.[46]

---

[43]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016, 7-8

[44]კუსიანი ე., არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მიზეზები და პრევენცია. თბილისი 2011, 2

[45]ღლონტი გ., კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი 2008

[46]კუსიანი ე., არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მიზეზები და პრევენცია. თბილისი 2011, 3

გარდამავალ ასაკში ჯერ კიდევ, არ არის მომწიფებული მოზარდის ინტელექტუალური შესაძლებლობები, ამიტომ მოვლენებს ისინი არარეალურად აფასებენ. სუბიექტურ, შემთხვევაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებებს მეტ ანგარიშს უწევენ, ვიდრე ობიექტური სინამდვილის ასახვასა და შეფასებას. ა.ი. ჩერნიშევსკის აზრით, „არასრულწლოვან დამნაშავეებს, სრულწლოვან დამნაშავეთაგან განსხვავებით, არ შეუძლიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ხარისხის მთლიანად გაცნობიერება, რაც მოზარდის არასაკმაო ინტელექტუალურ გამოუცდელობასთან არის დაკავშირებული“.[47]

სისხლის სამართლის სისტემაში არასრულწლოვნების დანაშაულისადმი სპეციალური მიდგომა არ არის ახალი კონცეფცია, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან შეგვიძლია მოვიძიოთ ამის მკაფიო მაგალითები. რომის სამართლის სისტემაში ე.წ. “Doli Incapax“ -ის თანახმად, ბავშვი დაცული იყო დასჯისა და დევნისაგან, რადგან მას არ ჰქონდა საკმარისად განვითარებული უნარ-ჩვევები და ჩადენილის გააზრების უნარი.[48] საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ნებისმიერმა სახელმწიფომ რომელიც იწყებს არასრულწლოვანთა მართვის სისტემის დანერგვაზე ან მასში ცვლილებების შეტანაზე მუშაობას უნდა უზრუნველყოს რომ შემოთავაზებული პოლიტიკა, კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამებოდეს ბავშვთა უფლებათა კონვენციას.[49]

საზღვარგარეთის ქვეყნებში ასაკობრივი ზღვარი, ანუ ასაკი, რომლის დადგომის შემდეგაც პირს ბრალად შეერაცხება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება იდენტური არ არის და დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნებში დამკვიდრებული კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებზე. დღესდღეობით ბრალის შერაცხადობის ასაკი ქვეყნების

[47]ავტორთა კოლექტივი, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი. მართლმსაჯულება და კანონი
[48] Cross, H. A. (2008). National Comparisson of Youth Justice. Youth juctice Broad
[49]ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო პრინციპები, 2011, 27-28

მიხედვით 7-დან 18 წლამდე მერყეობს; ევროპის უმეტეს ქვეყნებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წელია.[50]

სისხლის სამართლის კანონმდებლობამ XIX ს-ის შუა ხანებიდან, მას შემდეგ რაც 1854 წელს გაერთიანებულ სამეფოში მიიღეს პირველი კანონი არასრულწლოვან დამნაშავეთა სასჯელაღსრულების დაწესებულების შესახებ (Reformatory School Act), მრავალი ცვლილება განიცადა და აღსანიშნავია, რომ სადაც რეფორმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს შეეხო, განსაკუთრებით XX საუკუნეში, თითქმის ყველგან მისი მინიმალური ასაკის აწევის ტენდენცია გამოიკვეთა. ამ ტენდენციას მხარს უჭერს გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის რეკომენდაციებიც; თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ეს თვალსაზრისი ერთგვარი სიფრთხილით უნდა იქნეს განხილული_ერთ ქვეყანაში აპრობირებული მეთოდები და მიღებული შედეგები სისტემური მიდგომისა და სიღრმისეული ანალიზის გარეშე არ უნდა გახდეს სხვა ქვეყანაში ცვლილებების დაწყების მიზეზი, განსაკუთრებით სამართლის ისეთ სფეროში, რომელიც ყველაზე მკაფიოდ ასახავს კონკრეტულ ქვეყანაში დამკვიდრებულ სოციალურ-კულტურულ ფასეულობებს.[51]

ამერიკის შეეთებული შტატები- ცნობილია, როგორც საკმაოდ მკაცი პოლიტიკის გამტარებელი არასრულწლოვანთა მათლმსაჯულების მიმართულებით. ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ შტატში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ბავშვებს ეკისრებათ 8-10 წლიდან.[52]ჯერ კიდევ 1930-იან წლებში, აშშ-ში შეიქმნა მსოფლიოში პირველი არასრულწოვანთა სასამართლოები. ეს რეფორმა აღქმული იყო

[50]საქართველოს პარლამენტის აპარატი-კვლევითი დეპარტამენტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, (კანონპროექტისთვის, საქათველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე), თბილისი, 2007, 1

[51]საქართველოს პარლამენტის აპარატი-კვლევითი დეპარტამენტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, (კანონპროექტისთვის, საქათველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე), თბილისი, 2007, 2

[52]Center on Juvenile anc Criminal Justice, Juvenile Justice History, 2016

როგორც პროგრესული და წინ გადადგმული ნაბიჯი ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების მხრივ თუმცა 1990 წლებიდან ამერიკის შეერთებული შტატები დადგა სერიოზული გამოწვევების წინაშე, კერძოდ 1990-2005 წლებში 19 არასრულწლოვანი დამნაშავე იქნა სიკვდილით დასჯილი, რამაც გამოიწვია საერთაშორისო ორგანიზაციების მკაცრი კრიტიკა.[53] 2016 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები არასრულწლოვანთა კანონმდებლობის გაუმჯობესებისთვის:

- მოხდა კანონის შესწორება ასაკთან დაკავშირებით
- დაინერგა ახალგაზრდების კეთილდღეობაზე დაფუძნებული პროგრამები
- არასულწლოვნებისთვის სიტუაციის შესაბამისი უფლებების მინიჭება
- შეიზღუდა გამკაცრებული ფორმები არასრულწლოვანთა მიმართ

საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც განხორციელდა პირველად რამდენიმე შტატში, ძირითადად მიმართული იყო ადგილობრივი არასრულწლოვნებისთვის კანონმდებლობის გაუმჯობესებაზე. პირველი რეფორმის მიზანი გახლდათ შტატების კანონმდებლობაში ხარვეზების აღმოჩენა, არასულწლოვანთა სასამართლო სისტემის შეფასება და შემდგომ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილების გატარება, ფართო მასშტაბის რეფორმები ფოკუსირებული იყო საზოგადოების უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე. არასრულწლოვნებმა, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული (მსუბუქი) აგზავნიდნენ, სასამათლოსაგან სხვა ეფექტურ-პრევენციულ და საჭიროების შემთხვევაში სამკუნალო დაწესებულებაში.აღნიშნულ რეფორმებს ძირიითადად ახორციელებდნენ

[53]Juvenile Justice History in America; Journal of Justice and Crime, 2017

შემდეგ შტატებში: ჯორჯია, ჰავაი, ინდიანა, კანზასი, ჩრდილოეთ დაკოტა, დასავლეთ ვირჯინია.[54]

2011-2013 წლებში შტატების ნაწილმა შეზღუდა კანონები იმისთვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები არასრულწლოვანი გადაეცათ ზრდასრულთა სასამართლოსთვის. დამატებით რამდენიმე შტატმა გაზარდა არასრულწლოვანთა სასამართლოს იურისდიქციაში დაქვემდებარებულთა ასაკი. 2015 წლისთვის 41 შტატმა დააწესა ასაკობივი ზღვარი 17 წელი, 9 შტატმა კი 16 და 15(ნიუ იორკმა და ჩრდილოეთ კაროლინამ 15).[55]

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ აღიარა, რომ არასრულწლოვანთა მიმართ სამუდამო პატიმრობის მისჯა არასწორია. მოსამათლეებმა დაადგინეს, რომ მოზარდები ავტომატურად არ უნდა გასამართლდნენ ისევე, როგორც ზრდასრულები თუნდაც დანაშაული ერთნაირი იყოს. გასათვალისწინებელია მათი ასაკი და სხვა ფაქტორები.[56]ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მიღებული ერთ-ერთი დადგენილება ითვალისწინებს სამუდამო პატიმრობის გამონაკლისის სახით გამოყენებას.[57]მანამდე უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოზარდებს არ შეიძლება მიესაჯოთ სიკვდილით დასჯა ან სამუდამო პატიმრობა, თუ მათ მკვლელობა არ აქვთ ჩადენილი, ფედერალური კანონმდებლობით და 26 შტატის კანონებით მკვლელობა აუცილებლად ისჯება სამუდამო პატიმრობით, მათ შორის მაშინაც, თუ დამნაშავე არასრულწლოვანია.[58]

---

[54]Juvenile Justice History in America; Journal of Justice and Crime, 2016

[55]Juvenile Justice History in America; Journal of Justice and Crime, 2016

[56]Criminal Justice in America

[57]Deviant Behavior: Patterns, Sources, and Control

[58]ავტორთა კოლექტივი, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი. მართლმსაჯულება და კანონი

სულ ამერიკის შეერთებულ შტატებში 18 წლამდე ასაკის 2500 მოზარდი იხდის სამუდამო პატიმრობას, მათგან 79-ს დანაშაულის ჩადენისას 14 წელი არ ჰქონდა შესრულებული.[59]

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში მხილებული არასრულწოვანი პირის გასამართლება ხდება არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოში.[60] გერმანიაში არსებობს არასრულწლოვანთა (14-დან 17 წლამდე) და მოზარდთა (18-დან 20 წლამდე) სპეციალური მართლმაჯულების სისტემა.[61]

არასრულწლოვანთა ასაკის ამგვარი განსაზღვრა დადგენილია არასრულწლოვანთა სასამართლოს შესახებ 1923 წელს მიღებული კანონით, რომლის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არასრულწლოვნებისათვის 14 წლიდან იწყება (ადრე 12 წლიდან). რაც შეეხება ევროპის სხვა ქვეყნებს აქაც სისხლისამართლებივი პასუხისმგებლობა ძირითადად 14 წლის ასაკიდან იწყება.[62]

არასრულწლოვანთა საქმეებს არასრულწლოვანთა სპეციალური სასამართლოები განიხილავენ. არსებობს სამი ტიპის სანქცია:

1.აღმზრდელობითი ღონისძიებები

2. დისციპლინური ზომები

3.თავისუფლების აღკვეთა, რომელიც ექვს თვესა და ხუთ წელს შორის მერყეობს.

---

[59] Statistical Abstract of the United States

[60]საქართველოს პარლამენტის აპარატი-კვლევითი დეპარტამენტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება,(კანონპროექტისთვის, საქათველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე), თბილისი, 2007, 4

[61] RiCard F. Wetzell,Crime and Criminal Justice in Modern Germany

[62] BPB – Bundeszentrale fuer politische Bildung, 2007.

იშვიათად, მაგრამ სასჯელმა შეიძლება 10 წელსაც მიაღწიოს. გერმანიაში 16 წლამდე მოზარდების მიმართ თავისუფლების აღკვეთა თითქმის არასდროს გამოიყენება.[63]

გერმანიაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი 1923 წელს მოიცავდა მხოლოდ 14-18 წლამდე პირებს. 1953 წლიდან, უკვე მოზარდების (Heranwachsende) მიერ ჩადენილი ქმედებების რეგულირებაც ხდება ამავე კოდექსით, რაც დაახლოებით მთლიანი რაოდენობის 60%-ს შეადგენს. უფრო მეტიც კი - განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულების დროსაც კი ხდება არასრულწლოვანთა მათლმსაჯულების კოდექსის გამოყენება მრავალფეროვანი შესაძლებლობის გამო.[64] მოზარდები გერმანიის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით წარმოადგენენ 18 -21 წლამდე პირებს.მათთვის გამოიყენება ეს კოდექსი იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავის შესწავლიდან და გარემოს გათვალისწინებით დგინდება, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში ჯერ კიდევ არასრულწლოვნის განვითარების დონეზე იყო ან დანაშაულის ჩადენის ხერხი, გარემოებები არასრულწლოვნის მიერ ჩადენილს ჰგავს.[65]გერმანულ პრაქტიკაში გამოიყენება ტერმინი „ჩამორჩენილი მომწიფება“ (Reiferückstand). მსგავსი მდგომარეობა ხასიათდება : გარკვეული სამომავლო გეგმების არარსებობა, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების და განსჯის უნარების არქონა, მსგავსი ასაკობრივი ჯგუფის წევრებთან ინტეგრაციის შეუძლებლობა და ა.შ.[66]გერმანული სისხლის სამართალი უტოვებს შესაძლებლობას მოსამართლეს, რომ 21 წლამდე ასაკის მოზარდიც კი მოაქციოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქვეშ.

საფრანგეთი- სისხლისსამართლებივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 13 წელია. კანონმდებლობით არასრულლწოვნები არ შეიძლება

[63]Barry c. feld. Donna m. Bishop., The oxford handbook of Juvenile Crime and Juvenile Justice. Oxford university press. 2012
[64]Wirkungen. Dr. W. Heinz., Das deutsche Jugendstrafrecht Ziel, Handhabung 2008, S. 3
[65]გერმანიის სისხლის სამათლის კოდექსი მ. 105
[66] B. Behnke., Strafrecht\Jugendstrafrecht, 2017, S. 13

გაასამართლოს საერთო სასამათლომ. ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, საქმეს განიხილავს ან ბავშვთა სასამართლო ან არასრულწლოვანთა სისიხლის სამართლის სასამათლო.ნაკლებად მძიმე დანაშაულებს და სამართალდარღვევებს განიხილავს ბავშვთა სასამართლო, ხოლო მძიმე დანაშაულებს არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო.[67]

მოქმედებს პრინციპი, რომ არასრულწლოვნის დაკავება არ შეიძლება. Ѫხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია დაშვებული არასრულწლოვნების დაკავება - მისი დაკითხვის მიზნით. დაკავების ხანგრძლივობამ კი, 12 საათს არ უნდა გადააცილოს, დაუყოვნებლივ უნდა იყვნენ გაფრთხილებული მშობლები ან მეურვეები. დაკავების მომენტიდან მოზარდს უფლება აქვს, გაესაუბროს თავის ადვოკატს.[68]13-დან 18 წლამდე არასრულწლოვანს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიესაჯოს წინასწარი პატიმრობა, თუ დადასტურდება ამის აბსოლუტური აუცილებლობა.[69]არასრულწლოვანთა მიმართ, ძირითადად გამოიყენება აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები. მას შეიძლება დაევალოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ან თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, მიყენებული ზიანის გამოსასწორებელი სამუშაოები. 18 წლამდე ახალგაზრდებისთვის არსებობს სპეციალური დაწესებულებები.[70]

შვეიცარია- სისხლისსამართლებივი პასუხისმგებლობის ასაკი 7 წელია.[71]არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური ნორმები. ამჟამად შვეიცარიაში მუშაობენ, რომ არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის ასაკი 10 წლამდე აიწიოს.[72]

---

[67]Zalkind P., Rira J. simonGlobal perspectives on social Issues: juvenile justice Systems

[68] Jehle M., Wade M., Coping with Overloader Criminal Justice Systems, 2015

[69]Albert C., Scarborough C., CRIME AND PUNISHMENT IN THE MIDDLE AGES AND EARLY MODERN AGE

[70]ავტორთა კოლექტივი, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი. მართლმსაჯულება და კანონი

[71]Loeber R., N. Wim Slot, Peter van der Laah and Machteld Hoeve., Tomor-row's Criminals. The development of Child Delinquency and Effective In-terventions., London and New York. 2016

[72]HilowitzJanet E., Switzerland in Perspective, New York, Westport, Con-necticut, London

შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსი 7-დან 15 წლამდე არასრულწლოვნებისთვის ითვალისწინებს აღმზრდელობითი და დისციპლინური ღონისძიებების გატარებას. 15 წლამდე მოზარდის წინააღმდეგ არავითარი სისხლის სამართლის სასჯელის ზომა არ შეიძლება იყოს გამოყენებული, 15-დან 18 წლამდე მოზარდების მიმართ გამოყენებული სასჯელის ფორმებია მხოლოდ ჯარიმა და ერთი დღიდან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა.[73]სისხლის სამართლის ჩვეულებრივი ნორმები გამოიყენება 18 წლის ზევით, თუმცა, 25 წლამდე ახალგაზრდები, პენიტენციური დაწესებულების მაგივრად, შეიძლება მოთავსდნენ პროფესიული განვითარების დაწესებულებებში, სადაც ისინი შეისწავლიან რაიმე პროფესიას ან იმუშავებენ დაწესებულების გარეთ მდებარე საწარმოებში. 25 წლამდე ახალგაზრდები მხოლოდ დისციპლინის სერიოზული დარღვევის შემთხვევაში გადაჰყავთ პენიტენციურ დაწესებულებაში.[74]

ავსტრია- სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი, საქართველოს მსგავსად, ავსტრიაშიც 14 წლიდან იწყება. მანამდე არასრულწლოვნებს საერთოდ არ ეხება მართლმსაჯულების სისტემა. როცა 14 წლამდე ასაკის ბავშვი კანონსაწინააღმდეგოდ იქცევა, სწორედ ბავშვთა კეთილდღეობის ცენტრები ერთვებიან საქმეში. მათი რიცხვი განსაკუთრებით ბევრია ვენაში, რადგან ასეთიფაქტები იქ უფრო ხშირად ხდება.[75]ავსტრიასა და სხვა ბევრ ქვეყანაში ასევე დანერგილია მედიაცია თანასწორთა შორის. ანუ კლასში არიან ისეთი მოსწავლეები, რომლებსაც შესაბამისი ტრენინგი აქვთ გავლილი და როცა მოსწავლეებს შორის კონფლიქტი ჩნდება, მათ შეუძლიათ, მედიატორის როლი მოირგონ და ეს პრობლემა მოაგვარონ. ავსტრიაში საზოგადოება არ არის ძალადობრივი, მაგრამ აგრესიული გამოვლინებები ყოველთვის ყველგან ხდებოდა და მომავლშიც მოხდება.

[73] Junger J., Reforming Juvenile Justice.

[74]ავტორთა კოლექტივი, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი. მართლმსაჯულება და კანონი

[75]Albert C., Scar-borough C., crime and punishment in the middle ages and early moden age

მთავარია, თავიდან ავიცილოთ ძალადობრივი კულტურა. შეიძლება მოხდეს რაღაც, მაგრამ მაშინვე სასამართლოში არ უნდა წახვიდე და ძალოვანი უწყებები არ უნდა ჩააყენო საქმის კურსში. ბავშვებს უნდა ვასწავლოთ, როგორ გაუმკლავდნენ ასეთ სიტუაციებს არაძალადობრივი მეთოდით. მთავარია მათი ცნობიერების ამაღლება.[76]

ინგლისი- 1998 წლიდან ინგლისში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 10 წელი გახდა. 18 წლამდე ახალგაზრდა ყოველთვის არასრულწლოვანთა სასამართლოს მიერ უნდა იყოს გასამართლებული.[77] დანაშაულის პირველად ჩამდენ არასრულწლოვნებსა და 12 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვებს არ უნდა მიესაჯოთ წინასწარი პატიმრობა. 10-დან 17 წლამდე მოზარდების მიმართ, ძირითადად, აღმზრდელობითი და დისციპლინური სანქციები გამოიყენება. არასრულწლოვანთა სასამართლო მოზარდს თავისუფლებას აღუკვეთს 6-დან 24 თვემდე.[78]თუმცა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანთა სასამართლო მიიჩნევს, შეიძლება საქმე სრულწლოვანთა სასამართლოში გადაიგზავნოს. უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, 21 წლამდე ახალგაზრდა არასოდეს იგზავნება ციხეში. მათ ათავსებენ ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა დაწესებულებაში. ამასთან, როგორც წესი, სასჯელის ნახევრის მოხდის შემდეგ, მათ ათავისუფლებენ და ვადის გასვლამდე უწესებენ სოციალური სამსახურებისა და ნაციონალური პრობაციული სამსახურის მეთვალყურეობას.[79]

კანადა- კანადაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის საკითხი საკმაო ხნის განმავლობაში პოლიტიკური შეშფოთების საკითხს წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს რომ კანადაში

[76]http://liberali.ge/articles/view/34814/arasrultslovanta-danashaulis-preventsia---mtavari-pasukhismgebloba-ojakhs-ekisreba. (11.08.2020)
[77]Hostettler J., A History of Criminal justice in England and Wales. London 2009
[78]Crime and Punishment in Britain
[79] Briggs J., Christopher H., Vincent D., Crime and Punishment in England. Keele university. 1996.

დამნაშავეებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 7 წლის ასაკიდან ეკისრებოდათ, რაც 1984 წლიდან შეიცვალა და როგორი სიმძიმის დანაშაულიც არ უნდა ჩაიდინოს პირმა მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება თუ იგი არ აკმაყოფილებს ბრალუნარიანობის ასაკობრივ ცენზს, რომელიც განისაზღვრა 12 წლით.[80]

[80]Antony N., Cesaroni C., Responding to youth crime in Canada.

II თავი. არასრულწლოვანთა და ბრალუუნარო პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამომწვევი მიზეზები

ქვეყნის მომავალი სწორედ იმით განისაზღვრება თუ როგორ ახალგაზრდობას აღზრდის ის დღეს. ამ ამოცანის გადაჭრა არ შეიძლება მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სკოლას ან ოჯახს დაეკისროს. მის გადაჭრას სახელმწიფოსაგან კომპლექსური მიდგომა სჭირდება. ამიტომაა აუცილებელი გაირკვეს და გაანალიზდეს ის მიზეზები, რაც განაპირობებს არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების ჩადენას, რათა აღარ განმეორდეს ძველი შეცდომები და უფრო ხარისხიანად და ეფექტურად მოხდეს დასახული მიზნების განხორციელება.[81]

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის კლასიკური სკოლა, რომელსაც სამი ძირითადი მიმართულება გააჩნდა: გერმანული, ფრანგული და ინგლისური. კანტის თეორიას (ინდეტერმინიზმი) ეყრდნობოდა გერმანული სკოლა, აქედან გამომდინარე, ეს მიმართულება მიიჩნევდა, რომ დანაშაული არის ადამიანის თავისუფალი ნების გამოვლენა და არ გააჩნია მიზეზები. აღნიშნულის საპირისპირო მოსაზრებას ამტკიცებდა სისხლის სამართლის ანთროპოლოგიური სკოლა, იგი დამნაშავეობის მიზეზებს დამნაშავის პიროვნებაში ეძებდა. ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენლები არიან: ჩეზარე ლომბროზო, ენრიკო ფერი და სხვა. იტალიელი ფსიქიატრი და ციხის ექიმი, კრიმინოლოგიის მამად აღიარებული ჩეზარე ლომბროზო, ე. წ. კრიმინოლოგიის პოზიტიური სკოლის ფუძემდებლად ითვლება. იგი ამტკიცებდა, რომ ადამიანი დამნაშავედ არ ყალიბდება, არამედ გენეტიკურად ვლინდება. წიგნში "დამნაშავე ადამიანი" იგი დანაშაულებრივი ქცევის ძირითად მიზეზებად, ბიოლოგიურ და გარემო

[81]მოსულიშვილი მ., არასრულწლოვანთა სამართალდარღვევის პრევენცია, ჟურნ. "ცხოვრება და კანონი", 2008

ფაქტორებს ასახელებდა და ამტკიცებდა, რომ პიროვნება დამნაშავეა თუ არა, მიუთითებს მისი გარეგნობა. ლომბროზო ამტკიცებდა, რომ მკვლელისათვის დამახასიათებელია ვიწრო შუბლი და წვრილი თვალები, ხოლო გრძელი თითები ქურდის ნიშანია. მისი მოსაზრება, რომ დამნაშავეობა გენეტიკური მოვლენაა მეცნიერულად უარყოფილია. ლომბროზოს მოსაზრებას თანდაყოლილი დამნაშავეების შესახებ იზიარებდა იტალიელი კრიმინოლოგი და პოლიტიკოსი, თანამედრო კრიმინოლოგიის ერთ - ერთი ფუძემდებელი, ენრიკო ფერი. თუმცა იგი დანაშაულის გამომწვევ მიზეზთა შორის მნიშვნელოვნად მიიჩევდა სოციალურ ფაქტორებს. თავის წიგნში „დანაშაული, როგორც სოციალური მოვლენა“ მხოლოდ სოციალური ფაქტორებით არ იფარგლება და მნიშვნელოვნად მიიჩნევს ფიზიკურ ნიშნებსა და კლიმატურ ფაქტორებს.[82]ამდენად იგი გამოჰყოფს დანაშაულის გამომწვევი მიზეზების სამ ძირითად ჯგუფს: ანთროპოლოგიური ფაქტორები, ფიზიკური ფაქტორები, სოციალური ფაქტორები.[83]

XIX საუკუნის 90 - იან წლებში სისხლის სამართლის მეცნიერებაში აღმოცენდა ახალი მიმართულება - სისხლის სამართლის სოციოლოგიური სკოლა, რომლის მამამთავრად ითვლება გერმანელი სამართალმცოდნე ფრანც ლისტი. იგი დანაშაულს შეისწავლიდა როგორც ცხოვრებისეულ მოვლენას, როგორც სოციალურ სამყაროში მომხდარ ფაქტს. ლისტის საპირისპირო მოსაზრებას აყალიბებდნენ სოციოლოგიური სკოლის მიმდევრები. ისინი მიიჩნევდნენ, რომ დამნაშავე სოციალური გარემოს ზემოქმედებით, სხვადასხვა ფაქტორთა ერთობლიობით იქმნება.[84]კრიმინოლოგიაში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულობათა შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან არასრულწლოვნები, მათი ასაკიდან გამომდინარე, მოსახლეობის

[82]შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011
[83]გოძიაშვილი ი., კრიმინოლოგია, თბილისი 1998
[84]ავტორთა კოლექტივი, კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი 2008

ერთ-ერთი ყველაზე სუსტი და სოციალურად დაუცველი ფენაა. პირველ რიგში მათზე აისახება ესა თუ ის სოციალური სიძნელე ან ოჯახური პრობლემა. არასწორი ოჯახური აღზრდა, შეფერხებები სასწავლო პროცესის წარმართვაში და სხვა ხასიათის ნეგატიური ქმედება პირდაპირ კავშირში არიან იმ სოციალურ გადახრებთან, რომლებიც ხშირად ხელს უწყობენ არასრულწლოვნების დანაშაულებრივ გზაზე აღმოჩენას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ასეთი არასრულწლოვნები მოზრდილთა დანაშაულობის შევსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა, ამიტომ არასრულწლოვანთა დანაშაულობის დროული და ეფექტური პროფილაქტიკა ერთდროულად მოზრდილთა დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტიანობასაც ზრდის.

ყველაზე მნიშვნელოვან ინდივიდუალურ ფაქტორებს შორის, რომლებსაც შეუძლიათ დანაშაულის ჩადენის წინასწარმეტყველება არის ინტელექტი და მიღწევები, პიროვნულობა და ტემპერამენტი, ემპათია და იმპულსურობა. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი რომელიც დანაშაულის ჩადენის ალბათობაზე მიუთითებს არის დამნაშავე და ანტისოციალური მშობლები. სხვა მნიშვნელოვანი და ძლიერი ოჯახური რისკ-ფაქტორები არის ოჯახის სიდიდე, მშობლების მხრიდან ზედამხედველობის განხორციელების სისუსტე, ხშირი ოჯახური კონფლიქტი და დანგრეული ოჯახები. გარემოს დონეზე, დანაშაულის ჩადენის ყველაზე ძლიერი რისკ ფაქტორია ღარიბ სოციო ეკონომიკურ უბანში აღზრდა, დელიქვენტი სამეგობრო წრე, ისეთი სკოლა, სადაც დელიქვენტურობა საკმაოდ გავრცელებულია და ღატაკ ადგილზე ცხოვრება.[85]

არასრულწლოვანთა დანაშაულობის შესწავლა მიმდინარეობს ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ოთხი ელემენტის კვლევის საფუძველზე. ესენია:

[85] Welsh Brandon C. and David P. Farrington., Costs and benefits of sentencing. In: Preventing Crime: What Works for Children, Offenders, Victims and Places

1. არასულწლოვანთა დანაშალობა მის მრავალფეროვან ემპირიულ გამოვლინებებში (დონე, სტრუქტურა,დინამიკა);
2. არასრულწლოვნის პიროვნება მისი კრიმინოგენული თავისებურებების შეცნობის კუთხით, რომლებსაც ობიექტური ხასიათის ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ დანაშაულებრივი ქცევის ეტიმოლოგიაში
3. სოციალური გარემო ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ არასრულწლოვანთა დანაშაულობის ემპირიულ ხასიათს.
4. არასრულწლოვნების დანაშაულობაზე პოზიტიური ხასიათის სოციალურ ფაქტორთა პროფილაქტიკური ზეგავლენა, მათ შორის არასრულწლოვანთა დანაშაულობის პოფილაქტიკის სპეციალიზებული სუბიექტების მიზანმიმართული მოღვაწეობა.[86]

2.1.გარდატეხის პერიოდი და გაუცნობიერებელი დანაშაული

მოზარდობის ასაკში პობლემური ქცევისადმი მოწყვლადობასთან დაკავშიებული ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი და გავლენიანი თეორია ეკუთვნის ტერი მოფიტს. ტერი მოფიტი ამომბდა, რომ ზოგიერთი ადამიანის დელიკვენტური ქცევა შესაძლოა ვლინდებოდეს, სიტუაციურად მხოლოდ მოზარდობის ასაკში. ამის საპირისპიროდ, ზოგიერთი ადამიანის ანტისოციალური ქცევა სტაბილურობას და პერსისტენტულობას ინარჩუნებს.შესაბამისად ტერი მოფიტმა საკუთარ თეორიაში ყურადღება გაამახვილა ანტისოციალური ქცევის ორ ტიპზე: პერსისტენტული და მოზარდობის ასაკით შეზღუდული ანტისოციალუი ქცევა.[87]

[86]ავტორთა კოლექტივი, კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი 2008

[87] Moffitt T.E. Adolescence Limited and Life-Course-Persistent Antisocial Behavior: A Developmental Taxonomy, 1993

ინდივიდებს, რომელთა დელიკვენტური ქცევა მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება პერსისტენტულ დელიქვენტებს უწოდებენ. მათი ანტისოციალური ქცევის საწყისები ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში, დაახლოებით 4 წლის ასაკში იკვეთება - ყვირილის, ცემისა და სხვა რთული ქცევის სახით. შემდგომ პერიოდში კი შესაძლოა გაგრძელდეს წვრილმანი ქურდობითა თუ სახლიდან გაქცევით. ასაკის მატებასთან ერთად ანტისოციალური ქცევა უფრო კომპლექსური და ინტენსიური ხდება. პერსისტენტული დელიკვენტების შემთხვევაში დანაშაულებრივი ქცევის ეს უწყვეტი ჯაჭვი მთელი ცხოვრების განმავლობაში მიჰყვება. აქედან გამომდინარე, პიროვნებას მცირე შანსი რჩება იმისა, რომ დაისწავლოს პროსოციალური ქცევა. ცხროვრების უკვე არჩეული კურსი უზღუდავს მას არჩევანს და ხელს უშლის რომ განავითაროს კონვენციონალური სოციალური უნარები.[88]

მოზარდებში გარდატეხის პერიოდიც, ასევე არის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზი იმისა, რომ ამ ასაკში განსაკუთრებით სენსიტიურია ბავშვის ფსიქიკა და საჭიროებს სახელმწიფოს და ოჯახის მხრიდან განსაკუთრებულ მიდგომებს, დიმიტრი უზნაძის მიერ 1940 წელს დაწერილ „ზოგად ფსიქოლოგიაში“ ვკითხულობთ: „საყურადღებოა, რომ სქესობრივი მომწიფების პერიოდში მოზარდის ყურადღების კონცენტრაცია ქვეითდება“. აღნიშნული სიტყვებით დიმიტრი უზნაძე ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვნის (მოზარდის) „სქესობრივი მომწიფების პერიოდზე“, ე.წ „გარდატეხი სპერიოდზე“.[89]ცოტა მოგვიანებით ამ საკითხთან დაკავშირებით შ. ჩხარტიშვილი წერს „ ბავშობის დატოვებისა და დიდისმდგომარეობაში ყოფნის მოთხოვნილებები გარდამავალ ასაკში, იძენს რა სოციალურ შინაარს, გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მოზარდის აქტივობის მიმართულების განსაზღვრის საქმეში. ეს მოთხოვნილება, პირველ რიგში, სოციალური პრესტიჟის, თავისუფლების და

[88]Moffitt T.E. Adolescence Limited and Life-Course-Persistent Antisocial Behavior: A Developmental Tax-onomy, 1993

[89]უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 2006, 286

დამოუკიდებლობის მოთხოვნილებათა ფორმებში დიფერენცირდება და მოზარდის ყოველ ქცევაში, რომელიც მას რაიმე მხრივ სხვა ადამიანებთან აკავშირებს, ეძებს დამოუკიდებლობას“.[90]

მე_19 საუკუნეში მოზარდებში გარდატეხის პერიოდი 17 წლის ასაკიდან დგებოდა. დღეის მდგომარეობით გოგონებს 10-18 და ვაჟების 12-20 წლის ასაკში აქვთ სქესობრივი მომწიფების პერიოდი[91]ანუ „კაცად გახდომის“ პერიოდი“. გარდატეხის ასაკი ადამიანისთვის გამოირჩევა თავისი ბიოლოგიური და ფსიქიკური განვითარების მნიშვნელობით. მოზარდის სხეულის ცვალებადობა დაკავშირებულია მის სულიერ (ფსიქიკურ) განვითარებასთან.[92]გარდატეხის პერიოდში მოზარდში აღინიშნება ენერგიის დიდი მოზღვავება, რომელსაც ყოველგვარი სულიერი და მორალური ნორმების გათვალისწინების გარეშე სურს თავი იჩინოს (დაიხარჯოს).[93]მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გარდატეხის პერიოდში მოზარდებს ვერ შესწევთ ემოციების ზუსტად აღქმის უნარი და რეაგირებენ იმპულსურად.[94] შეიძლება ითქვას,რომ გარდატეხის ასაკში საქმე გვაქვს მის სულიერ ღირებულებათა კონფლიქტთან.მოზარდი საკუთარი თავის და „მე„_ს გამოჩენის მიზნით ხშირად სჩადის ისეთ ქმედებას, რაც სცილდება სოციალური ურთიერთობის ნორმებს და სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. სწორედ ამ პერიოდში მოზარდში მიმდინარე ბიოლოგიური და ფსიქიკური განვითარების გამო, რაც თავისთავად გარკვეულ ასაკთან არის დაკავშირებული, საუბარია მოზარდის სისხლისსამათლებივ პასუხისმგებლობის თავისებურებაზე, კერძოდ გარდატეხის პერიოდში მოზარდის რთული მდგომარეობის გამო, ვსაუბრობთ მის შეზღუდულ შერაცხადობაზე.[95]

---

[90]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016 , 22

[91]ქურხული ლ., მოზარდის სექსუალური განვითარების შესახებ, თბილისის, 2006 , 37

[92]შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016 , 18

[93]შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011

[94]http://www.planet-wissen.de/pw [[12.08.2020]]

[95]შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011

არასრულწლოვანთა და ბრალუუნარო პირთა მიერ ჩადენილი დანაშაული შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა გარემო ფაქტორებით.იმისათვის რომ დანაშაულის აღმოფხვრის გზები მოინახოს, პირველ რიგში საჭიროა დანაშაულის ხელშემწყობი პირობების მოძიება და მათი თავიდან აცილება, სწორედ მიზეზია ყველაფერის პირველსაწყისი.

2.2. საგანმანათლებლო გარემო და თანატოლებთან ურთიერთობა

აღსანიშნავია, რომ სკოლა არ არის ის ადგილი, სადაც არასრულწლოვნები მხოლოდ პროგრამული სწავლებითა და წიგნებში მოცემული ინფორმაციით უნდა იფაგლებოდნენ. სკოლამ ადამიანს უნდა მისცეს აღზრდა და განათლება დემოკატიული პრინციპების დაცვით.ბავშვი აქ ყალიბდება პიროვნებად, სადაც უნდა შეიძნოს ის მორალური ღირებულებები, რომელთა საფუძველზეც წარმართავს თავის მომავალს. სკოლაშივე, ბავშვი უფრო გააზრებულად დგამს სოციალიზაციის დამოუკიდებელ ნაბიჯებს სხვა თანატოლებთან თუ უფროსებთან, იძენს მეგობრებს, იწყებს საკუთარი თავის გამოვლენას, ეცნობა მორალურ ღირებულებებს და სწავლობს სხვებთან ურთიერთობაში მათ გამოყენებას. ოჯახის შემდეგ, სწორედ ამ საგანმანათლებლო დაწესებულებას მიუძღვის უდიდესი წვლილი პიროვნების ჩამოყალიბებაში.[96] აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლაში მოზარდის ქცევა, მისი სწავლისადმი დამოკიდებულება, მასწავლებლებთან და თანატოლებთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის მომავალს. საქართველოში, ბოლო 5 წლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იმ მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობამ, რომლებიც დანაშაულის ჩადენისას არ სწავლობდნენ/არ მუშაობდნენ, მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 75-80% შეადგინა.[97]

---

[96]კაკაბაძე გ., სამაგისტრო ნაშრომი-ინდივიდუალური მოპყრობა კანონთან კონფლიქტში მყოფი , თბილისი, 2019, 17

[97]იხ. წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო. http://www.supremecourt.ge/statistics

აქვე უნდა განვიხილოთ მოზარდის თანატოლებთან ურთიერთობაც. აღსანიშნავია,რომ არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენაზე მნიშვნელოვან გავლენას სამეგობრო წრე ახდენს. ე. სათერლენდის „დიფერენციალური კავშირის თეორიის“ მიხედვით, დანაშაულის ჩადენის მიზეზები უნდა ვეძიოთ საზოგადოების არა სოციალულ-კულტურული ორგანიზაციის დონეზე, არამედ, იმ უახლოეს სოციალურ გარემოში, სადაც დამნაშავე ყალიბდება.[98]არასრულწლოვანი, რომელიც დაკავშირებულია დელიქვენტ თანატოლებთან, ალბათობის მაღალი ხარისხით,დაარღვევს კანონს, რადგან მოზარდი ისეთ შეხედულებებს სწავლობს სამეგობრო წრისგან, რომლებიც ამ უკანასკნელთათვის მისაღებია. მას ვინც ხშირად ჩადის დანაშაულს, ისეთი მეგობრები ჰყავს, რომლისთვისაც კანონის დარღვევა ნორმალური საქციელია.[99]

2.3. თავისუფალი დროის გატარება და ტელევიზია

დანაშაულის, მათ შორის არასრულწლოვანთა დანაშაულის ერთ-ერთ დეტერმინანტს ცხოვრებისეული გეგმის არარსებობა წარმოადგენს. ისევე როგორც ზრდასრული ადამიანის, მოზარდის დღის რეჟიმის აუცილებელ და სავალდებულო ნაწილს თავისუფალი დრო შადგენს. მისი სწორად დაგეგმვა კი დანშაულის პრევენციას უწყობს ხელს.[100] მოზარდების მიერ დანაშაულებრივი ქმედებები ხორციელდება თავისუფალ დროს ე.ი. დროის იმ მონაკვეთში, როდესაც ადამიანს არც ბიოლოგიური აუცილებლობა(ძილი, ავადმყოფობა) და არც მესამე პირისაგან წამოშობილი ვალდებულებების შესრულება არ უწევს(სკოლის მასწავლებელი, ოჯახის წევრი).[101] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური

[98] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3538

[99]შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 28-29

[100]კაკაბაძე გ., სამაგისტრო ნაშრომი-ინდივიდუალური მოპყრობა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისადმი, თბილისი, 2019, 21

[101]შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 29

მონაცემებით არასრულწლოვან მსჯავრდებულთა 60 პროცენტი არ მუშაობს და არ სწავლობს.[102]

მოზარდთა განვითარებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს თავისუფალი დროის სწორად განაწილება. ხელოვნება და აქტიური სპოტი თავისუფალი დროის გატარების ისეთი საშუალებებია, რომლებიც საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ არის აღიარებული, თუმცა ხშირად მოზარდთა დაინტერესებას ვერ ჰპოვებს, მაგალითად თავისი სურვილით ცოტა მოზარდი თუ წავა ხელოვნების ან ეთნოგრაფიულ მუზეუმში.თუ გადავხედავთ დედაქალაქის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებს, ისინი მხოლოდ პროფესიონალ სპორტსმენებს ავარჯიშებენ და მოზარდს, რომელსაც ფეხბურთის თამაში უნდა ამას ვერ ახერხებს. მას აღარაფერი დარჩენია, გარდა ქუჩაში დროის გატარებისა, კინოში ან ბარში წასვლისა, ტელევიზორის ყურებისა და კომპიუტერის თამაშისა.[103] ქყვექნის სპორტული ინფრასტრუქტურა უნდა მოეწყოს მოქალაქეთა შესაბამისად, რადგან თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეს მოზარდსა და ზრდასრულს ისარგებლოს სპორტული მოედნებით.ქალაქში აშენებული სპორტული მოედნები, მაქსიმუმ 10-12 მოზარდს იტევს და მხოლოდ ერთი სახის სპორტული თამაშისთვის არის განკუთვნილი(ფეხბუთი ან კალადბურთი). გარდა ამისა სპოტულ მოედნებზე მხოლოდ კარგ ამინდში შეიძლება თამაში. შესაბამისად არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ რატომ დგანან მოზარდები მთელი დღის განმავლობაში ქუჩაში ან რატომ თამაშობენ კომპიუტერულ თამაშებს ან უყურებენ სახლში ძალადობრივ ფილმებს, რომელთაც შეუძლიათ სხვადასხვაგვარად იმოქმედონ არასრულწლოვანზე.[104] სატელევიზიო აგრესია კი ხელს უწყობს ადამიანის აგრესიული ემოციებისაგან განმუხტვას.პირი, რომელიც აგრესიას ტელევიზოში უყურებს, თავს აიგივებს ეკრანზე გამოსახულ აგრესორთან და

[102]იხ. წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო. http://www.supremecourt.ge

[103]შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 30

[104]შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 29-30

მის აგრესიულ ქმედებებს ისე აღიქვამს, როგორც საკუთარს. აგრესიული სიუჟეტის შედეგად იგი თავისუფლდება საკუთარი აგრესიისაგან.[105] სამი წლის განმავლობაში მსოფლიოს 5 ქვეყანაში (ავსტრალია, ფინეთი, ისრაელი, პოლონეთი, და აშშ,) 9-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვებში მიმდინარეობდა კვლევა, რომელმაც აჩვენა რომ ამ ქვეყნებში აგრესიული იყვნენ ის ბავშვები, რომლებიც 1. ზოგადად ბევრ დროს ატარებდნენ ტელევიზორთან; 2. უპირატესობას ანიჭებდნენ ძალადობივ სიუჟეტებს; 3. საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენდნენ სატელევიზიო გადაცემების გმირებთან; 4. სჯეროდათ, რომ სატელევიზიო სიუჟეტებში ნანახი ძალადობა, ცხოვრებისეულ სინამდვილეს შეეფერებოდა.[106]

2.4. ეკონომიკური ფაქტორი

ეკონომიკურად ისეთ სუსტ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანები ჩადიან დანაშაულებს, რომლებიც მიმართულია მათი ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ასაკთან ერთად განსხვავებულია შეხედულება თავის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც, ბავშვების შემთხვევაში მოთხოვნილებები რა თქმა უნდა უფრო ნაკლებია, მაგრამ მათი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით მგრძნობიარე, ხშირად მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ისეთი მძიმეა, რომ ისინი კრიზისიდან გამოსვლის სხვა გზას ვეღარ ხედავენ, გარდა კანონსაწინაამდეგო ქმედებით რაიმე სახის სარგებლის მიღებისა.[107] არასრულწლოვანთა და მოზარდთა მიერ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილება ძირითადად ხდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის გზით მაგ: ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა. მოზარდებს საკუთარი სურვილების დაკმაყოფილება თავადვე უწევთ, რადგან მშობლებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ ისინი საჭირო ნივთებით.დიდ ზეგავლენას ახდენს თანატოლთა ეკონომიკური მდგომარეობა, რომლებსაც

[105]იქვე:; 29-30
[106]იქვე:; 29-30
[107]შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011

აქვთ შესაძლებლობა აისრულონ სურვილები. ხშირად ეკონომიკური სხვადასხვაობა, რომელიც წარმოშბს ე.წ. „დაცინვის“ მომენტს, წამოადგენს დანაშაულის ჩადენის საფუძველს.

2.5. სახელმწიფო და ოჯახი მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში

დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური კვლევის დროს აუცილებელია დამნაშავის ოჯახური მდგომაეობის გაგება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანი პიროვნული განვითაების პროცესში ოჯახიდან იღებს მნიშვნელოვან იმპულსებს. ოჯახური ურთიერთობის დროს ადამიანები სოციალურ, ემოციურ და საკომუნიკაციო კომპონენტებს სწავლობენ, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მათ შემდგომ განვითარებაში.დანაშაულის ჩადენის მიზეზების გამოკვლევის დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ოჯახურ მდგომარეობას. აღზრდის წესებს, მშობლებს შორის ურთიერთობას. კრიმინოლოგიური კვლევების შედეგად დადასტურდა, რომ ოჯახურ მდგომარეობასა და პირის მიერ დანაშაწულის ჩადენას, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვს.[108] „ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელწიფოს მხრივ“.[109]

ბავშვის განვითარებაზე ასევე ცუდად მოქმედებს მასზე კონტროლის ნაკლებობა, როდესაც ბავშვი საკუთარ თავს არის მინდობილი.გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო აღიარებს მშობლების უპირატესობას შვილების არზრდის საკითხში სახელწიფო სტრუქტურებთან შედარებით. ზოგადად, მშობლებს შეუძლია სახელწიფო სტრუქტურებისაგან ჩაურევლად საკუთარი შეხედულებისამებრ აღზარდოს შვილი.სახელწიფოს მაშინ აქვს მშობლის აღმზრდელობით საკითხში ჩარევის უფლება, თუ

[108]შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 22
[109]ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948

ბავშვის აღზრდას მშობელი არაჯეროვნად ანხოციელებს.[110] შიდაოჯახურ კონფლიქტებსა და ოჯახურ ძალადობას შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს მოზარდთა ფსიქიკაზე, რაც შემდგომში გადაიზრდება დანაშაულის ჩადენის გამომწვევ მიზეზად. პატარა ბავშვები აკვირდებიან თავიანთი მშობლების ან მათთან ახლოს მყოფი პირების საქციელს და ცდილობენ მათ მიბაძვას, იმეორებენ უფროსების ქცევას.შესაძლებელია დაგნგრეულმა ოჯახმა (broken-home) პირდაპირი მნიშვნელობით ბავშვების დამნაშავეობა არ გამოიწვიოს, მაგრამ მშობლების გაყრა შეიძლება მოგვევლინოს მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის ხელშემშლელ ფაქტორად, რაც თავის მხრივ, ბავშვს დიდ ემოციურ ზიანს აყენებს. [111]

სახელწიფოა ერთგვარი გამაერთიანებელი ორგანო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში სოციალური დონის ამაღლება, სოციალური წესრიგის დამკვიდრება, საერთო ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, მოსახლეობის შემლებისდაგვარად თანაზომიერი უზრუნველყოფა.სწორედ სახელწიფომ უნდა შექმნას ისეთი სპორტული და საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლების მოზარდთა დაინტერესებას აამაღლებს. უნდა უზრუნველყოს დანაშაულისკენ მიდრეკილი მოზარდების აღრიცხვა, შემდგომი დანაშაულის პრევენციის მიზნით.უდავოა, რომ მოზარდის ცნობიერების ჩამოყალიბებაში უზარმაზარი როლი მიუძღვის სახელწიფოს, უნდა იზრუნოს ბავშვთა კეთილდღეობაზე სკოლიდან ასაკიდანვე, უნდა უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა. სახელწიფომ მოზარდთა დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, უნდა მოახდინოს[112]:

---

[110]შალიკაშვილი მ; მიქანაძე გ, არასრულწლოვანთ ამართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 22-23

[111]იქვე:; 23-24

[112] გოძიაშვილი ი., კრიმინოლოგია, თბილისი, 1998

- კანონდამრღვევთა აღრიცხვაზე აყვანა და მათთან, აგრეთვე მისი ოჯახის წევრებთან აღმზრდელობითი ღონისძიებების ჩატარება
- არდადეგების პერიოდში ამგვარ არასრულწლოვანთა უზრუნველყოფა გამაჯანსაღებელ ბანაკებში.
- ადმინისტრაციული ხასიათის ზომების მიღება; მოყვანა ოფიციალური გაფრთხილებისთვის, წვრილმანი დარღვევისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზომების მიღება.
- მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც მოზარდის პასუხისმგებლობის გრძნობას საზოგადოების მიმართ აამაღლებს.

III თავი. მოზარდთა მიმართ პრევენციულ ღონისძიებათა გამოყენება საქართველოში

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. მიუხედავად ამისა, ამ დრომდე არ არსებობდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ერთიანი პოლიტიკა და სტრატეგია და დანაშაულის პრევენციის მაკოორდინირებელი ორგანო. საქართველოში, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია 2012 წელს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა,[113] რომლის მიზნებს წარმოადგენს :

- სისხლისსამათლებრივი დევნის ალტერნატივების (როგორიცაა განრიდების პროგრამები) განვითარება და განვრცობა, ამ გზით დანაშაულის ჩამდენ მოზარდთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის უზრუნველყოფა.
- სამართალდამრღვევ არასრულწლოვანთა ბრაზისა და სტრესის მართვის, აგრეთვე კომუნიკაციის უნარების ტრენინგებში ჩაბმულობის უზრუნველყოფა.
- წინასწარ პატიმრობაში მყოფ მოზარდთა განათლების პროგრამების განვითარება.
- სასჯელის ინდივიდუალური გეგმების განვითარება და დანერგვა მთელი ქვეყნის მასშტაბით.
- ინდივიდუალური რეაბილიტაციის პროცესში ოჯახის ჩაბმულობის უზრუნველყოფა.
- მსჯავრდებული მოზარდებისთვის არსებული საგანმანათლებლო პოგრამების განმტკიცება და მათი ამ პროგრამებში ჩაბმულობის წახალისება;
- პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვანთა ტრენინგის უზრუნველყოფა სოციალურ და დასაქმებისთვის საჭირო უნარებში;

[113]საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N235 2012 წლის 22 მარტი. ქ. თბილისი

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში არასრულწლოვანთა სოციალური, კულტურული და სპორტული აქტივობების განვითარება და ხელშეწყობა;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემაში არასრულწოვანთათვის კონსულტირებისა და ფსიქოლოგიურ/ფსიქიატრიული დახმარების პროგრამების დანერგვა;
- პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვანთა სამაგალითო ადამიანებთან შეხვედრების და ურთიერთობის მიზნით პროგრამების განვითარება და დანერგვა;
- სასჯელის მოხდის შემდეგ არასრუწლოვანთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამების დანერგვა და განვითაება;
- სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვანთა სტაბილური საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ კვლევების განხორციელება, როგორებიცაა მაგალითად, რეციდივი, ლატენტური დანაშაული, დანაშაულის გამომწვევი რისკ-ფაქტორები და სხვა;
- სასჯელაღსულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის ტრენინგი არასრულწლოვნებთან ურთიერთობის საკითხებზე;[114]

აღნიშნული ბრძანებულება ეხება 14-დან 18 წლამდე მოზარდების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას, მას არანაირი კავშირი არ აქვს 14 წლამდე ბავშვების პრობლემასთან.ერთადერთი ბერკეტი რომელიც დღეს დღეობით არსებობს საქართველოში, გახლავთ არასრულწლოვნის გადამისამართება(რეფერალი), რომელიც ზოგადი განათლების შესახებ კანონში შემდეგნაირად არის განმარტებული, გადამისამართება (რეფერალი) ნიშნავს-არასრულწლოვნის სხვადასხვა კულტურულ - საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვას ან მის მიმართ სხვა ღონისძიებების გამოყენებას, მის სხვა სკოლაში გადაყვანას ან სკოლა -პანსიონში გაგზავნას,

[114]საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N235 2012 წლის 22 მარტი. ქ. თბილისი

რომელიც ხორციელდეაბა განსაზღვრული ვადით, არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, ანტისოციალური ქცევის მქონე იმ არსრულწლოვნის მიმართ, რომელსაც შეუსრულდა 12 წელი და ექსპერტთა საბჭოსთვის მიმართვიდან 6 თვის განმავლობაში არ შეუსრულდება 18 წელი.[115]ამავე კანონში განმარტებულია თუ რას ნიშნავს ანტისოციალური ქცევა.ანტისოციალური ქცევა არის ქცევა, რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის არასრულწლოვნის ფსიქოსოციალურ გნავითარებას, მის ან სხვა ადამიანების უსაფრთხოებას, კეთილდღეობას ან მართლწესრიგს და სისტემატურად ვლინდება არანაკლებ 6 თვის განმავლობაში, გარდა არასრულწლოვნის მიერ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევისა.[116] გამონაკლის შემთხვევებში გადამისამართება შეიძლება განხორციელდეს 10 წლის ასაკის ბავშვის მიმართაც, თუ მან ჩაიდინა ისეთი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და რომლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის განსაზღვრულ ასაკს მიღწეული პირის მიერ ჩადენის შემთხვევაში დადგებოდა ამ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.[117]

ადგილი სადაც ხდება „რთულად აღსაზრდელთა: გადამისამართება, არის სამტრედიის N15 საჯარო სკოლა, მისი მოსწავლეების ცხოვრების წესი სხვა თანატოლებისაგან ბევრად არ განსხვავდება, თუ არ გავამახვილებთ ყურადღებას იმაზე, რომ ამ სკოლაში 10-დან 18 წალმდე ბავშვები მთელი საქართველოს მასშტაბით ე.წ. „რთული ქცევის“ გამო მიჰყავთ. „ზოგადი განათლების შესახებ: კანონში შესული ცვლილებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული მულტიდისციპლინური ჯგუფი, მასში შემავალი ქვეჯგუფების მეშვეობით,რომლის შემადგენლობაში შედიან სოციალური მუშაკები, იურისტები, პედაგოგები და

[115]საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ
[116]საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ
[117]საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.

ფსიქოლოგები.[118]კანონის თანახმად, გადამისამართება დევიანტური ქცევის მქონე არასრუწლოვანის მიმართ შეიძლება განხორციელდეს,რომელსაც 10 წელი უკვე შეუსრულდა. არასრულწლოვნის სპეციალიზებულ სკოლაში გადაყვანის მოთხოვნის უფლება აქვს, როგორც სკოლას და მშობელს, ისე უბნის ინსპექტორს, პროკურორს და სოციალურ მუშაკს.[119] სამტრედიის სკოლა პანსიონსში ამჟამად 6 მოსწავლე იმყოფება, ყველა მათგანი ბიჭია. 2012 წლიდან დღემდე ექსპერტთა ჯგუფმა სულ 44 მიმართვა განიხილა (43 ბიჭი და 1 გოგო), ხოლო რეფერალზე უარი ეთქვა 23 არასრულწლოვანს, მათ შორის ერთ გოგოს.[120] აღსანიშნავია, რომ სამტრედიის N15 საჯარო სკოლაში ჩატარებულმა მონიტორინგმა დაწესებულებაში ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის კუთხით არასათანადო მდგომარეობა გამოავლინა.მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ სკოლაში არსებული მდგომარეობა ვერ პასუხობს ბენეფიციარის აღნიშნულ დაწესებულებაში მოთავსების მიზნებს და არ არის მორგებული ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებზე, განსაკუთრებით კი, არ არის ორიენტირებული ბენეფიციართა რესოციალიზაციაზე.[121]

ამ საკითხს ეხება 2017 წელს ჩატარებული გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა „ბავშვზე მორგებული კანონმდებლობა“, რომელიც ჩატარდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროექტის „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომის გაუმჯობესება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ ფარგლებში.[122]

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება გულისხმობს მართლმსაჯულების ისეთ სისტემას, რომელიც ქმნის ბავშვის უფლებათა ეფექტური განხორციელების გარანტიას ბავშვის უფლებათა დაცვის

[118]საქართველოს კანონი ზოგადი განათლები სშესახებ.
[119]https://www.ambebi.ge/article/95589-ertaderti-skola-sakartveloshi [[14.08.2020]]

[120]https://www.interpressnews.ge/ka/article/ [[14.08.2020]]
[121]იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში N 01-1/3617. 30.03.2019
[122]გაეროს ბავშვთა ფონდი, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, კანონმდებლობის კვლევა, 2017, 5

პრინციპების, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების და საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით.ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება ნიშნავს მართლმსაჯულებას, რომელიც არის მისაწვდომი, ასაკთან შესაბამისი, სწრაფი, ბავშვის უფლებებსა და საჭიროებაზე მორგებული.ესაა სისტემა, რომელიც უზუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვას სამართლიანი სასამართლო პროცესის, სასამართლო პროცესში მონაწილეობის და ინფორმირების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პატივისა და ღირსების პატივისცემის შესახებ.[123] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგიისა და 2017-2021 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, იუსტიციის სამინისტოს კოორდინაციით უნდა განხორციელდეს ბავშვთა უფლებების თაობაზე სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის რეფორმა. 2017 წლის იანვარში იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კერძო სამართლის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში შეიქმნა მულტისციპლინური სამუშაო ჯგუფი,[124] რომლის მთავარი ფუნქცია პროცესის კოორდინაცია და ხელმძღვანელობა, ანალიზის სრულყოფა, სპეციალური რეკომენდაციების შემუშავება და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადებაა.

IV თავი. დანაშაულის პრევენციის მოდელები

დანაშაულის პრევენციის სხვადასხვა მოდელებსა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ტრადიციებს შეუძლიათ შეავსონ ერთმანეთი, იარსებონ ერთად და ამით გაძლიერდნენ.გასათვალისწინებელი ფაქტია ისიც, რომ ხშირად ეს ორი

[123]ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, განმარტებები.

[124]სამუშაო ჯგუფის შემადგებლობაში შევიდნენ პარლამენტის კომიტეტები, შესაბამისი სამინისტროები და სხვა სახელმწიფო უწყებები, სასამართლოს, სახალხო დამცველის და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები

განსხვავებული მეთოდი ერთმანეთს ეწინაამდეგება.პოლიციის შიგნით, ის ადამიანები ვინც ჩართული არიან პრევენციულ საკითხებში ხშირად აღიქმებიან როგორც „დათუნია პოლიციელები“ (“teddy police” ნორვეგიაში), „არ შემდგარი პოლიციელები“ (“hobbybobbies” დიდ ბრიტანეთში), „უიარაღო პოლიციელები“ (“empty holster police” აშშ-ში), რადგან ისინი ნამდვილი პოლიციელის როლს არ ასრულებენ მათი შეზღუდული მანდატიდან გამომდინარე. ამის საწინააღმდეგო ნამდვილ პოლიციელად აღქმულია ის ვინც ახორციელებს სისხლისსამართლებივ დევნას იმ მიზნით, რომ დამნაშავეს აგებინონ პასუხი.[125]

დანაშაულის პრევენციის რამდენიმე მოდელი არსებობს, რომლებსაც ერთმანეთთან აქვთ სააერთო მახასიათებლებიც, თუმცა ხშირად ერთმანეთსაც ეწინააღმდეგებიან.ეს იმით აიხსნება, რომ მათ განსხვავებული თეორიული ბაზისი და კვლევის ობიექტი აქვთ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ დონეზე.

[125]ბიორგო ტ., დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, 2019, 23

4.1.სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, როგორც დანაშაულის პრევენციის მოდელი.

ეს მოდელი სასჯელის პრევენციულ ეფექტებს ეფუძნება, ის განასხვავებს ინდივიდუალურ პრევენციას და ზოგად პრევენციას. ინდივიდუალურ დონეზე სასჯელს შეიძლება ჰქონდეს მინიმუმ ორი შედეგი: ერთი, სასჯელის დანიშვნა, რომელიც შეიძლება გამოვლენილი იყოს თავისუფლების აღკვეთის ან სხვა ფორმით, რომელის ემსახურება ადამიანის პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალვას და მეორედ მსგავს სიტუაციაში თავის არ ჩაყენებას. მეორე შედეგი გულისხმობს, რომ ადამიანისთვის თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს ციხეში წასვლას და იქ ყოფნის პერიოდში საზოგადოებას ზიანს ვეღარ მიაყენებს.სასჯელის ზოგადი პრევენციული ფუნქცია ორი ნაწილისაგან შედგება: კანონით ქცევის აკძალვა, რაც ნათელს ხდის, რომ ცალკეული ქმედების ჩადენა გამოიწვევს სასჯელს და სასჯელის შიშს, რომელსაც შემაშინებელი ეფექტი უნდა ჰქონდეს, იმისთვის, რომ სასჯელმა შეასრულოს ეს ფუნქცია ის უნდა იყოს განჭვრეტადი,მკაცრი და მოქნილი.[126]

აღნიშნულ მოდელთან მიმართებით არსებული მთავარი კითხვა არის ის თუ რამდენად აქვს სასჯელს სასურველი შედეგები. ცხადია, რომ სასჯელს მართლაც აქვს დამაშინებელი ეფექტი, როგორც მერყევი სუბიექტების მიმართ ისე განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შეკავების კუთხით. მაგრამ რამდენად ჩაიდენს ადამიანი დანაშაულს ან ახალ დანაშაულს დამოკიდებულია თავად ადამიანის მახასიათებლებზე და დანაშაულის ხასიათზე. დანაშაულის ზოგიერთი ფორმა უფრო ემოციურია (მაგ., მკვლელობა), სხვა დანაშაულებში უფრო მეტი რაციონალური შეფასებაა ჩართული, იმ მხრივ, რომ ადამიანი აფასებს თავისი ქმედების სარგებელსა და უარყოფით შედეგებს (მაგ., ეკონომიკური დანაშაულები). თუმცა ასეთ დანაშაულებზე (რომელსაც დაგეგმვა ჭირდება), დაშინებაზე

[126] Andenæs, J., Punishment and Deterrence. Ann Arbor, MI: The University of Michigan Press, 1974

უკეთესი შემაკავებელი ეფექტი გამოაშკარავების ალბათობას აქვს.[127]მეტიც, ზოგიერთი კვლევა ცხადად უთითებს, რომ გამოაშკარავების რისკის გაზრდა უფრო მეტად ამცირებს დანაშაულის რაოდენობას ვიდრე სასჯელის შიში.[128]

4.2.დანაშაულის პრევენციის სოციალური მოდელი

სოციალური მოდელი გავლენას ახდენს იმ ფაქტორებზე რაც ადამიანის დამნაშავედ გახდომას უწყობს ხელს.[129] აღნიშნული მიდგომა ხაზს უსვამს დამნაშავეობის გავრცელებისა და დანაშაულისკენ მიდრეკილების შემცირების მნიშვნელობას. ხშირად დანაშაულის გამომწვევ მიზეზად ისეთი სტრუქტურული ფაქტორებია მითითებული, როგორიცაა სოციალური მარგინალიზაცია, ცხოვრების არასახარბიელო პირობები და რთული ბავშვობა (ბავშვების მიტოვება მშობლის მიერ ან ძალადობა, ხშირი ოჯახური კონფლიქტი, ალკოჰოლიზმი და ა.შ.).ნეგატიური სოციალური გავლენები, რომელიც გამომდინარეობს გარემოდან, სამეგობრო წრიდან, მედიიდან ან სხვადასხვა თრობის გამომწვევი ნივთიერებებისგან, მოიხსენიება იმ სოციალურ ფაქტორებად, რაც დამნაშავეობას უწყობს ხელს. დანაშაულისკენ მიდრეკილი ინდივიდუალური ჩვევები, როგორიცაა აგრესია, იმპულსურობა და ნაკლები თვით-კონტროლი შეიძლება გამოწვეული იყოს რთული ოჯახური მდგომარეობის გამო, ბავშვობაში განცდილი ნეგატიური ინციტენდიტს გამო, ჰიპერაქტიულობისა და ყურადღების ნაკლებობის სინდრომის (ADHD) ან ფსიქო-სოციალური კონდიციების გამო, რომელიც არასრულყოფილ განვითარებას უწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, სოციალური პრევენციული ღონისძიებებიც

[127] Bjørgo T., Myhrer, Tor-Geir Mulige forebyggende virkninger av straffen – generelt og overfor ter-rorhandlinger spesielt, del II i Forebygging av terrorisme og annen kriminalitet. Oslo: PHS Forskning 2011:1. 86-87.
[128]Sarnecki, J., Introduktion till kriminologi. Lund: Studentlitteratur, 2003
[129] Hebberecht, Patrick & Evelyne Baillergeau (eds.) (2012). Social Crime Preven- tion in Late Modern Europe: A Comparative Perspective. Brussels: Criminologische Studies.

შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივ დონეზე (მაკრო), ჯგუფურ დონეზე (მესო) ან ინდივიდიალურ დონეზე (მიკრო).[130]

ველში და ფარინგტონი ერთმანეთისგან ანსხვავებენ „განვითარებად პრევენციას“, ანუ სტრატეგიას, რომელიც ცდილობს ბავშვის ცხოვრებისეული შანსების გაუმჯობესებას და „საზოგადოებრივ პრევენციას“, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური კონდიცების შეცვლას, რაც გავლენას მოახდენს დანაშაულის დონეზე ცალკეულ უბნებში.ამასთან ერთმანეთისგან ანსხვავებენ პირდაპირ (ან უნივერსალურ) პრევენციას, რომლის ადრესატიც მთლიანი მოსახლეობაა (მაგალითად, სავალდებულო დაწყებითი განათლება ყველა ბავშვისთვი), მეორად (ან შერჩევით) პრევენციას, რომელის მიმართულია კონკრეტული რისკის შემცველი ჯგუფების მიმართ (მაგ., იმ ბავშვების მეტი კონტროლი, რომელიც სკოლას ტოვებს) და მესამედ (მითითებით) პრვენციას შორის, რომელიც მიმართულია იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც კონკრეტული ქცევითი პრობლემები აქვთ (მაგ., მათთვის ხელის შეწყობა კრიმინალური დაჯგუფებების დატოვებისთვის).[131]

რისკ ჯგუფების წინააღმდეგ მიმართული პრევენციული ღონისძიებების დასაგეგმად მნიშვნელოვანია დამცავი ფაქტორების ზუსტად განსაზღვრა. მგრძნობიარე ფაქტორების შემცირება და მეტი დამცავი ფაქტორების გაზრდა ამცირებს იმის რისკს, რომ მოზარდებმა დანაშაულებრივი კარიერა აირჩიონ. როგორც ითქვა პირდაპირი პრევენცია მთელი საზოგადოებისთვისა და კეთლიდღეობის სისტემისთვისაა. მისი ძირითადი მიზანია საზოგადოების დიდი ნაწილის თვისებების, პროდუქტიულობის გაუმჯობესება, საზოგადოების წევრების ინტეგრირებულ მოქალაქეებად განსზაღვრა და ამ ყველაფრის ყველა მომგებიანი გვერდითი მოვლენა არის ის, რომ რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი გახდეს დამნაშავე. თუმცა,

[130]ბიორგო ტ., დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, 2019, 34
[131] Welsh, Brandon C. & David P. Farrington (2012a). Crime prevention and public policy. In: Brandon C. Welsh & David P. Farrington, The Oxford Handbook of Crime Prevention. Oxford: Oxford University Press. 8-11

როდესაც ჯგუფები და ინდივიდუალები ტოვებენ სკოლას და არიან მარგინალიზებული, დანაშაულის ჩადენის რისკი, სახელმწიფოს შემშწეობაზე დამოკიდებულება, ჯანმრთელობის გაუარესება და სხვა არასასურველი შედეგები იმატებს. მსგავს ჯგუფებზე მეტად ორიენტირებული მიდგომა საჭიროებს სხვადასხვა უწყებებს შორის თანამშრომლობას (ბავშვთა კეთილდღეობის სერვისების განმახორციელებელ სააგენტოებთან, შრომის ადმინისტრაციებთან, ბავშვთა მზრუნველობის სერვისებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, ჯანდაცვის სერვისებთან და ა.შ.). მოხალისეები, სათანადო დამცველები და პოლიციაც ასევე სათანადო როლს ასრულებს. პოლიციის როლი განსაკუთრებით მაშინ იკვეთება, როდესაც პრევენცია მიმართულია ბავშვებსა და ახალგარზდა ადამიანებზე, რომლებსაც ქცევის ისეთი სერიოზული პრობლემები აქვთ, როგორიც არის დანაშაულში მონაწილეობა ან ბანდაში გაწევრიანება ან ნარკოტიკის/ალკოჰოლის მოხმარება. სწორედ პოლიცია არის ის ვისაც პირველადი შეხება აქვს ახალგაზრდა ადამიანებთან ამ სიტუაციებში და სწორედ მათ უნდა ჩართონ შესაბამისი უწყებები, როდესაც ამის საჭიროებაა. მთავარი მიზანი ისაა, რომ ახალგაზრდა ადამიანი დესტრუქციულ გარემოს და აქტივობებს ჩამოშორდეს და დაბრუნდეს სკოლაში, ჩაუტარდეს ტრენინგი და დაკავდეს სხვა პოზიტიური აქტივობებით.[132]

4.3.დანაშაულის სიტუაციური პრევენციის მოდელი

სიტუაციური მოდელი მიზნად ისახავს იმ სიტუაციების შეცვლას, რომელშიც ხდება დანაშაულის ჩადენა და ეს ხდება ქმედების ჩამდენისთვის შესაძლებლობის წართმევის გზით. ეს მიდგომა არ არის დაინტერესებული იმით, თუ რატომ ხდებიან ადამიანები დამნაშავეებად და ამის საპირისპიროდ იკვლევენ იმ ფაქტორებს, რომელიც დანაშაულის ჩადენის ალბათობას უფრო შესაძლებელს ხდის. თავის მხრივ, ეს

[132]ბიორგო ტ., დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, 2019, 13-15

საშუალებას იძლევა გაანალიზდეს ის რაციონალური კალკულაციის პროცესი, რომელშიც ადამიანი ერთვება კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად. ამ მოდელთან დაკავშირებული პრინციპები თავდაპირველად განვითარდა და სისტემატიზებული სახე მიეცა რონალდ კლარკის მიერ, რომელმაც სიტუაციური პრევენციის შემდეგი საშუალებები განავითარა[133]:

- დანაშაულის ჩასადენად დამნაშავისთვის ძალისხმევის გაზრდა (მაგალითად, იმით რომ გაუმჯობესდეს საკეტები, იარაღის შეძენა/შენახვის კონტროლის გამკაცრება და ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც ართულებს დანაშაულის ჩადენას და ა.შ.);
- დამნაშავის გამოაშკარავების რისკის გაზრდა (მაგალითად, სიგნალიზაციის დაყენებით, ვიდეო კამერების გაზრდით, ქუჩის განათებით და ა.შ.);
- კონკრეტული დანაშაულიდან მიღებული სარგებლის შემცირება (მაგალითად, სასარგებლო ნივთების გადამალვით, საკუთრების რეგისტრაციით,მეორადი ბაზრების გადამოწმებით, ყიდიან თუ არა ისინი მოპარულ ნივთებს და ა.შ.);
- ისეთი პროვოკაციულიი ქცევების შემცირებით, რომელსაც დანაშაულის გამოწვევა შეუძლია (მოწესრიგებული მოსაცდელი რიგების შექმნით ღამის კლუბებსა, თუ ტაქსის გაჩერებასთან, თავაზიანი პერსონალის ყოლით, პოლიციის მხრიდან ძალადობრივი ან ქედმაღალი საქციელი აღმოფხვრით);
- დანაშაულის ჩადენის შემდეგ თავის გამართლების საშუალებების შემცირება(ცხადი და განჭვრეტადი ნორმების შექმნით, რომელიც უთითებს რა შეიძლება და რა არ შეიძლება, დამნაშავისთვის სათანადო შემარცხვენელი ნორმების ან გაკიცხვის მექანიზმების შექმნა);

[133] Clarke, Ronald V. (1980). Situational Crime Prevention: Theory and Practice. British Journal of Criminology, 20/2: 136–147.

ეს მექანიზმები განკუთვნილია იმისთვის, რომ ცალ-ცალკე ან ერთად შეძლონ და ჩაერიონ ქმედების ჩამდენის კალკულაციაში რათა მას მაქსიმალურად გაურთულდეს დანაშაულის ჩადენა. დანაშაულის სიტუაციური პრევენციის მოდელის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კრიტიკა ის არის, რომ დანაშაულის ზოგიერთი ობიექტის დაცვა მარტივად იწვევს დანაშაულის გადაადგილებას ერთი ადგილიდან მეორეზე, ანუ ისეთ ადგილზე რომლის ობიექტიც ნაკლებადაა დაცული. დანაშაულის გაადგალიების თაობაზე კვლევამ უჩვენა, რომ ეს მოდელი ნაკლებად პროგნოზირებადია და ყოველთვის არის იმის ალბათობა, რომ დამნაშავეების ყურადღება დაცული ობიექტებიდან უკონტროლოდ გადავიდეს დაუცველ ობიექტებზე.[134]

4.4. რისკების მართვა, როგორც დანაშაულის პრევენციის მოდელი

რისკების მართვა, როგორც დანაშაულის მნიშვნელოვანი მოდელი წარმოადგენს დანაშაულიდან მომდინარე რისკების მაქსიმალურად, მისაღებ დონემდე, შემცირების იდეას.რისკში ზიანის მომტანი ქმედების დადგომის ალბათობა და მისი მავნე შედეგები იგულისხმება, რაც შეიძლება გამოხატული იყოს ადამიანის სიცოცხლის, საკუთრების ან სხვა სიკეთეების დაზიანებაში. ალბათობის ცოდნა აუცილებელია, რადგან სწორედ ალბათობა განსაზღვრავს რისკის რეალიზაციის შესაძლებლობის ხარისხს. შედეგები აღწერს საზიანო ქმედების უარყოფით შედეგს, როგორიცაა სიცოცხლის დაკარგვა ან მატერიალური ზიანი. დაუცველობა არის ის სტატუსი, რომელიც ადამიანს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ნიშნის გამო და რომელიც მას მსხვერპლად გახდომის განსაკუთრებული რისკის ქვეშ აყენებს. რისკისა და დაუცველობის შეფასება საკმაოდ ხშირად გამოიყენება

[134] Bowers, K., Johnson, S., Guerette, R., Summers, L. and Poynton, S. (2011). Spatial Displacement and Diffusion of Benefits among Geographically Focused Polic- ing Initiatives: A Meta-Analytical Review. Journal of Experimental Criminology, 7/4: 347–374.

საჯარო და კერძო ორგანიზაციების მიერ, როგორც გადაწყვეტილების მიღების იარაღი საზიანო მოვლენების თავიდან ასაცილებლად და მათთან გამკლავების მიზნით. თავის მხრივ,რისკის შემცირება მისაღებ დონემდე შესაძლებელია საზიანო შედეგების ალბათობის შემცირებით, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნეს გამიზნული საშუალებების იმპლემენტაციის გზით, რომელიც საზიანო ეფექტების დადგომის ალბათობას ამცირებს

დასკვნა

ნაშრომში განვიხილეთ მოზარდთა და ბრალუუნარო პირთა მიერ ჩადენილი დანშაულის მნიშვნელობა და მისი წარმოშობის მიზეზები. მოზარდათა დანაშაული საყურადღებო ფაქტია ადრეული ასაკიდან, რადგან ასაკის მატებასთან ერთად იზრდება დანაშაულებრივი სიმძიმეც. საქართველოს კანონდებლობა ფაქტობრივად უგულვებელყოფს 14 წლამდე ბავშვების პრობლემას და ყურადღებას აქცევს 14-დან 18 წლამდე პირებს. სწორედ ეს მიდგომა წამოადგენს უკიდურეს ზღვარს დანაშაულისთვის და გათამამებას პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი მოზარდისთვის.

დასკვნის სახით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ბრალუუნარო პირთა დანაშაულებრივი ქმედების გამომწვევი/ხელშემწყობი ფაქტორები:

- ოჯახი
- საგანმანათლებლო გარემო
- ეკონომიკური გარემოება
- სახელწიფო

სახელწიფო წარმოადგენს აღნიშნულ ფაქტორთა გამაერთიანებელ რგოლს. საქათველოში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა კრიტიკულ ფაზაშია, რომელთან გამკვლავებაც ზრდასრულებსაც უჭირთ, შესაბამისად მოზარდებისთვის მეტად რთულია, რაც დანაშაულის ჩადენისაკენ უბიძგებს. სახელწიფომ უნდა შეუქმნას ოჯახს ის გარემო პირობები, რომ მცირეწლოვანი შვილების მოთხოვნები დააკმაყოფილონ და მათ არ მოუწიოთ დანაშაულის ჩადენა ამისთვის. საგანმანათლებლო გარემო ოჯახთან ერთად იწყებს მოზარდთა აღზრდასა და საზოგადოებაში მათ დამკვიდრებას.კრიმინალის შემცირებისთვის საგანმანათლებლო პროგრამებში აუცილებელია ჩაისვას ტრენინგები, სხვადასხვა აქტივობები, რათა ამაღლდეს მოზარდთა ცნობიერება დანაშაულებრივ გზასთან დაკავშირებით.შვეიცარიის კანონმდელობა 7-დან 15 წლამდე არასრულწლოვნებისთვის ითვალისწინებს აღმზრდელობითი და

დისციპლინური ღონისძიებების გატარებას. აღნიშნული ღონისძიებების გადმოტანა და საქართველოში განხორციელება მნიშვნელოვნად დაეხმარება კრიმინალის შემცირებას მოზარდებში. როდესაც 14 წლამდე ასაკის ბავშვი კანონსაწინააღმდეგოდ იქცევა ავსტრიაში ამ დროს კეთილდღეობის ცენტრები ერთვებიან საქმეში, საქართველოს კანონმდებლობა და სამართლებრივი სივრცე არ ცნობს მსგავს მიდგომას რაც აფერხებს დანაშაულთან ბრძოლას.ავსტრიის სკოლებში, კლასში ჰყავთ ისეთი მოსწავლეები, რომლებსაც შესაბამისი ტრენინგები აქვთ გავლილი, კონფლიქტის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მედიატორის როლი მოირგონ და ეს პრობლემა მოაგვარონ, აღნიშნული მიდგომაც უპრიანია საქართველოსთვის. საქართველოში გვაქვს ერთადერთი დაწესებულება, სადაც ხდება ე.წ. რთული ბავშვების გადაყვანა, ეს გახლავთ სამტრედიის N15 საჯარო სკოლა, სადაც 6 მოსწავლეა ამჟამად. აღნიშნული მიუთითებს იმაზე რომ ეს დაწესებულებაც ვერ პასუხობს შესაბამის სტანდარტებს, რადგან საქართველოში გაცილებით მეტი მოსწავლეა რომელიც კანონს ეწინააღმდეგება.

განვითარებულ ქვეყნებს სხვადასხვაგვარი მიდგომა აქვთ ასაკობრივ ზღვართან და მოზარდის განვითარებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება სამართლებრივ სივრცეს და სასამათლოებს: ინგლისში 18 წლამდე ახალგაზრდა ყოველთვის არასრულწლოვანთა სასამართლოს მიერ განიხილება. გერმანიაში არსებობს არასრულწლოვანთა და მოზარდთა სპეციალიზებული მართლმსაჯულების სისტემა. საფრანგეთში არასრულწლოვნები არ შეიძლება გაასამართლოს საერთო სასამათლომ, არსებობს ბავშვთა სასამართლო და არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო.საქართველოში არ გვაქვს მსგავსი მიდგომა და არასრულწლოვნები სამართლდებიან საერთო სასამართოელიბის მიერ. ჩემი აზრით კარგია სასამართლო სისტემის მსგავსად მოწესრიგება და დაყოფა.

საქართველოს კანონმდებლობა საერთოდ ვერ აწესრიგებს 14 წლამდე მოზარდთა მიერ განხორციელებულ დანაშაულებს და ისინი კანონს მიღმა

არიან დარჩენილები, რაც მნიშნელოვან ზიანს აყენებს როგორც კერძო სექტორს, ასევე საზოგადაობასა და მათ საკუთრებას.ჩემი აზრით უპრიანი იქნება პასუხისმგებლობის ასაკის ზღვარის დაწევა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, მათ აუცილებლად ციხეში გაშვებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც 10 წლიდან 14 წლამდე ბავშვები ჩადიან საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, მათ იციან,რომ კანონს მიღმა არიან და არ აქვთ შიშის მომენტი. ასაკის დაწევა ნათლად შეამცირებს დანაშაულის სიმრავლეს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს სამართლებივი სივრცის სწორად დალაგების, შესაბამისი სასამართლო სისტემის, დაწესებულების შექმნის შემდეგ,რადგან არ მოხდეს მათი ციხეში გაშვება, რაც მეტად დააზიანებს მათ და ხელს შეუწყობს მომავალში მძიმე კრიმინალებად ჩამოყალიბებას.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

1. *ავტორთა კოლექტივი, კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008*
2. *ავტორთა კოლექტივი, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი, მათლმსაჯულება და კანონი.*
3. *არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია. საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები, გამოცემულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ*
4. *,,ბავშვის უფლებები და ჟურნალისტიკის პრაქტიკა-უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა"-იუნისეფი-დებულების ტექნოლოგიის ინსტიტუტი.2007წელი. ქართული თარგმანი და გამოცემა, გაეროს ბავშთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა, თბილისი, 2011*
5. *ბიორგო ტ., დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, 2019*
6. *გოძიაშვილი ი., კრიმინოლოგია, თბილისი, 1998*
7. *ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, განმარტებები.*
8. *კაკაჩია მ., კლდიაშვილი ლ., საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სახელწიფო მმართველობის სკოლა, არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართველოში, თბილისი, 2004*
9. *კავთუაშვილი ე., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი-დასჯის თუ აღზრდის სამართალი?*
10. *კუსიანი ე., არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მიზეზები და პრევენცია. თბილისი, 2011*

11. *კაკაბაძე გ., სამაგისტრო ნაშრომი-ინდივიდუალური მოპყრობა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანისადმი, თბილისი, 2019*

12. *მინაშვილი ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარი,თბილისი, 2017*
13. *მოსულიშვილი მ., არასრულწლოვანთა სამართალდარღვევის პრევენცია, ჟურნ. "ცხოვრება და კანონი", თბილისი, 2008*
14. *საქათველოს პარლამენტის აპარატი-კვლევითი დეპარტამენტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება (კანონპროექტისთვის, საქათველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე), თბილისი, 2007*
15. *სურგულაძე ლ., მოზარდი და სისხლის სამართლის კანონი, თბილისი, 1999*

16. *საქართველოს პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭო, გაეროს ბავშთა ფონდი, ,,არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია. საწვრთნელი დებულებები არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრირების სესახებ, საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი მექნიზმები",2003*
17. *ტურავა მ. დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011*
18. *უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 2006*
19. *ქურხული ლ., მოზარდის სექსუალური განვითარების შესახებ, თბილისი, 2006*
20. *ღლონტი გ., კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008*
21. *შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2011*

22. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016
23. ჯაფარიძე თ., მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზები, მისი კრიმინოლოგიური ასპექტები და გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები.
24. ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკონონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო პრინციპები, 2011
25. Antony N., Cesaroni C., Responding to youth crime in Canada.
26. Andenæs, J., Punishment and Deterrence. Ann Arbor, MI: The University of Michigan Press, 1974
27. Albert C., Scarborough C., CRIME AND PUNISHMENT IN THE MIDDLE AGES AND EARLY MODERN AGE
28. Bowers, K., Johnson, S., Guerette, R., Summers, L. and Poynton, S. (2011). Spatial Displacement and Diffusion of Benefits among Geographically Focused Polic- ing Initiatives: A Meta-Analytical Review. Journal of Experimental Criminology
29. Briggs J., Christopher H., Vincent D., Crime and Punishment in England. Keele university, 1996
30. BPB – Bundeszentrale fuer politische Bildung, 2007
31. BehnkeB., Strafrecht\Jugendstrafrecht, 2017
32. Barry C feld., Donna M. Bishop., The oxford handbook of Juvenile Crime and Juvenile Justice, Oxford university press, 2012
33. Bjørgo T., Myhrer, Tor-Geir (2011). Mulige forebyggende virkninger av straffen – generelt og overfor terrorhandlinger spesielt, del II i Forebygging av terrorisme og annen kriminalitet. Oslo: PHS Forskning, 2011
34. Cross, H. A. (2008). National Comparisson of Youth Justice. Youth juctice Broad
35. Center on Juvenile anc Criminal Justice, Juvenile Justice History, 2016
36. Criminal Justice in America

37. *Crime and Punishment in Britain*
38. *Clarke, Ronald V. (1980). Situational Crime Prevention: Theory and Practice.British Journal of Criminology*
39. *Deviant Behavior: Patterns, Sources, and Control*
40. *Hebberecht, Patrick & Evelyne Baillergeau (eds.) (2012). Social Crime Preven- tion in Late Modern Europe: A Comparative Perspective. Brussels: Criminologische Studies.*
41. *Hostettler J., A History of Criminal justice in England and Wales. London 2009*
42. *HilowitzJanet E., Switzerland in Perspective, New York, Westport, Connecticut, London*
43. *Juvenile Justice History in America; Journal of Justice and Crime, 2017*
44. *Juvenile Justice History in America; Journal of Justice and Crime, 2016*
45. *Junger J., Reforming Juvenile Justice*
46. *Jehle M., Wade M., Coping with Overloader Criminal Justice Systems, 2015*
47. *Loeber R., N. Wim Slot, Peter van der Laah and Machteld Hoeve., Tomorrow's Criminals. The development of Child Delinquency and Effective Interventions., London and New York. 2016*
48. *Moffitt T.E. Adolescence Limited and Life-Course-Persistent Antisocial Behavior: A Developmental Taxonomy, 1993*
49. *RiCard F. Wetzell,Crime and Criminal Justice in Modern Germany*
50. *Sarnecki J., Introduktion till kriminologi. Lund: Studentlitteratur, 2003*
51. *Sullivan, A., & Sheffrin, S. M. Economics: Principles in Action. New Jersey,2002*
52. *Statistical Abstract of the United States*
53. *UNICEF study on Children's Equitable Access to Justice in Albania, Georgia, Kyrgyzstan and Montenegro, 2015*

54. Welsh, Brandon C. & David P. Farrington., Crime prevention and public policy. The Oxford Handbook of Crime Prevention., Oxford University Press. 2012

55. *Welsh Brandon C. and David P. Farrington., Costs and benefits of sentencing. In: Preventing Crime: What Works for Children, Offenders, Victims and Places*

56. *. Wilson, J. Q./Kelling, G.I., 1996. S. 121-137*

57. *Welch P. Criminal litigation and sentencing. London- Sidney, 1998*

58. *Wirkungen. Dr. W. Heinz., Das deutsche Jugendstrafrecht Ziel, Handhabung S. 3, 2008*

59. *Zalkind P., Rira J. simonGlobal perspectives on social Issues: juvenile justice System*

სამართლებრივი აქტები

1. *გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი*
2. *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი*
3. *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი*
4. *საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი*
5. *საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ*
6. *საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N235 2012 წლის 22 მარტი. ქ. თბილისი*

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

1. *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წლის 10 დეკემბერი)*
2. *გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, პეკინის წესები*
3. *კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (1989 წლის 20 ნოემბერი)*

კვლევები/ანგარიშები/მოხსენებები

1. *გაეროს ბავშვთა ფონდი, ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, კანონმდებლობის კვლევა, 2017*
2. *საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში N 01-1/3617. 30.03.2019*

ელექტრონული წყაროები

1. *http://www.supremecourt.ge/statistics*
2. *http://www.supremecourt.ge*
3. *http://www.tabula.ge/ge/story/53963-arctu-ise-nulovani-tolerantoba*
4. *http://business.org.ge/chamtvreuli-fanjrebis-teoria*
5. *http://liberali.ge/articles/view/34814/arasrultslovanta-danashaulis-preventsia---mtavari-pasukhismgebloba-ojakhs-ekisreba. [[11.08.2020]]*
6. *http://www.planet-wissen.de/pw. [[12.08.2020]]*
7. *http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3538*
8. *https://www.ambebi.ge/article/95589-ertaderti-skola-sakartveloshi [[14.08.2020]]*
9. https://www.interpressnews.ge/ka/article/ *[[14.08.2020]]*

დანართი 1

არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა, მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობასთან შედარებით[135]

წლები	მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა	მსჯავრდებული არასრულწლოვნებ ის საერთო რაოდენობა	%
1990	7481	499	6.7
1991		492	
1992	3730	335	9.0
1993	X		
1994	8283		
1995	7094	155	6.4
1996	X	491	
1997	7646	357	4.7
1998	6998	357	5.1
1999	7973	383	4.8
2000	8284	388	4.7
2001	8897	525	5.9
2002	8579	497	5.8
2003	8110	459	5.7

[135]საქართველოს უზენაესი სასამართლო: http://www.supremecourt.ge/statistics

2004	9071	598	6.6
2005	9168	475	5.2
2006	13607	1002	7.3
2007	21170	1060	5.0
2008	20804	1166	6.2
2009	18354	803	4.4
2010	19940	883	4.4
2011	18153	669	3.7
2012	10922	475	4.3
2013	15166	456	3.0
2014	16776	381	2.3
2015	15139	292	2.0
2016	15640	146	1.0
2017	14517	197	1.3
2018	15846	212	1.4

დანართი 2

სასჯელმისჯილ არასრულწლოვანთა რაოდენობა სქესისა და ასაკი მიხედვით[136]

წლები	*2006*	*2007*	*2008*	*2009*	*2010*	*2011*	*2012*	*2013*	*2014*
მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდეონა	*1002*	*1060*	*1166*	*803*	*883*	*669*	*475*	*456*	*381*
ბიჭები	*979 98,1%*	*1026 96,8%*	*1119 95,9%*	*767 95,5%*	*853 96,6%*	*638 95,4%*	*450 94,7%*	*443 97,1%*	*365 95,8%*
გოგონები	*23 1,9%*	*34 3,2%*	*47 4,1%*	*36 4,5%*	*30 3,4%*	*31 4,6%*	*25 5,3%*	*13 2,9%*	*16 4,2%*
14-15 წლის	*323 31,4%*	*298 31,4%*	*299 25,6%*	*206 25,6%*	*226 25,6%*	*201 25,6%*	*129 27,2%*	*126 27,6%*	*113 29,7%*
16-17 წლის	*679 68,6%*	*762 71,9%*	*865 74,4%*	*587 74,4%*	*657 74,4%*	*468 70%*	*346 72,8%*	*330 72,4%*	*268 70,3%*
არ მუშაობს არ სწავლობს	*602 60,1%*	*613 57,8%*	*652 55,9%*	*392 48,8%*	*398 44,8%*	*349 52,2%*	*275 57,9%*	*307 67,3%*	*288 75,6%*
დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად	*490 48,9%*	*547 51,6%*	*505 43,3%*	*336 41,8%*	*298 33,7%*	*158 23,6%*	*77 16,2%*	*69 15,1%*	*46 12,1%*

წლები	*2015*	*2016*	*2017*	*2018*
მსჯავრდებულ არასულწლოვანთა რაოდენობა	*292*	*146*	*197*	*212*

[136]საქართველოს უზენაესი სასამართლო: http://www.supremecourt.ge/statistics

ბიჭები	*285* *97,6%*	*144* *98,6%*	*192* *97,5%*	*209* *98,6%*
გოგონები	*7* *2,4%*	*2* *1,4%*	*5* *2,5%*	*3* *1,4%*
14-15 წლის	*69* *23,6%*	*39* *26,7%*	*55* *27,9%*	*56* *26,4%*
16-17 წლის	*223* *76,4%*	*107* *73,3%*	*142* *72,1%*	*156* *73,6%*
არ მუშაობს არ სწავლობს	*224* *76,7%*	*118* *80,8%*	*153* *77,7%*	*168* *79,2%*
დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად	*27* *9,2%*	*13* *8,9%*	*5* *2,5%*	*20* *9,4%*